

# ილია II: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი შეეწყობა სეპარატიზმს

**კათოლიკოს-პატრიარქი 25 აგვისტოს რუსეთის დუმის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის), — ძირძველი ქართული მიწების დამოუკიდებლობის აღიარებისკენ გადადგმულ ნაბიჯს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის უფრო საშიშ ფაზაში გადასვლად მიიჩნევს.**

გთავაზობთ კათოლიკოს-პატრიარქის განცხადების სრულ ტექსტს, რომელიც 25 აგვისტოს გავრცელდა.

**საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის აქტიური საომარი მოქმედებები დასრულდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გრძელდება დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის და იგი უფრო საშიშ ფაზაში გადადის, რაც დღეს, 25 აგვისტოს, რუსეთის დუმის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის), — ძირძველი ქართული მიწების დამოუკიდებლობის აღიარებაში გამოიხატა.**

**ოდითგანვე საქართველო იყო სხვადასხვა, კულტურებისა და ცივილიზაციების გადაკვეთის ადგილი ამასთან, ხშირად მათი შეჯახების არენაც.**

2

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 27 აგვისტო, 2008 წელი.

№ 160 (6018)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


◎ რასაც არ ველოდით!

# ნუთუ დაიგლიჯა საქართველო?..

## მედვედევმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა



**გუშინ, 26 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.**

**„სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრეზიდენტებმა, რეფერენდუმის შედეგებზე და საკუთარ რესპუბლიკათა პარლამენტების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, რუსეთის ფედერაციას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართეს. რუსეთის ფედერაციის საბჭომ და სახელმწიფო სათათბირომ მხარი დაუჭირეს ამ თხოვნასა და მიმართვებს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება. აფხაზი და ოსი ხალხების თავისუფალი ნების გათვალისწინებით, გაეროს წესდების ხელმძღვანელობით, 1970 წლის დეკლარაციის შესაბამისად, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებს ეხება, 1975 წელს მიღებული ჰელსინკის აქტის გათვალისწინებითა და სხვა საერთშორისო ფუნდამენტალური დოკუმენტების მიხედვით, მე ხელი მოვაწერე ბრძანებულებებს რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. რუსეთი მოუწოდებს სხვა სახელმწიფოებს მიბაძონ მის მაგალითს. ეს არ არის ადვილი გადაწყვეტილება, მაგრამ ეს ერთადერთი საშუალებაა ადამინთა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის“, — განაცხადა მედვედევმა.**



**ჯორჯ ბუში:**

## პატივი უნდა ვცეთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

2

**ანგელა მერკელი:**

2

## საქართველო და უკრაინა ნატოში უნდა შევიდნენ





**პაველ ფელგენჰაუერი:**

## კრიზისიდან დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ გამოსავალს რუსეთმა ოკუპაციის ზონა არჩია

3

ⓞ თხოვნა

# ილია II: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარატიზმს

**(პირველი გვერდიდან)**

ყველა დაპირისპირებულ მხარეს თავისი მიზანი ამოძრავებდა. ჩვენს ერს კი ბუნებრივია ჰქონდა თავისი ინტერესი – ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ეს ინტერესი ჩვენთვის დღესაც უცვლელია და ჩვენ ჩვენი წინაპრების მსგავსად, შევეცდებით ამ მიზანს ვემსახუროთ.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ რუსეთი და საქართველო ორივე მართლმადიდებელი ქვეყნებია და დაპირისპირება და ომი სწორედ ერთმორწმუნე ერებს შორის მოხდა.

უნდა გვახსოვდეს, ეშმაკი ყოფს, ღმერთი კი აერთიანებს.

რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარატიზმს და ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია, ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ.

სეპარატიზმი გადამდები ცენტრიდანული საშინელი ძალაა, რომელიც ანგრევს სახელმწიფოს საფუძვლებს და თუ მას სერიოზული გასაქანი მიეცა, დედამიწას ქაოსი მოიცავს. მცირე ერები ყველა სახელმწიფოშია და მათ რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოინდომონ, ბუნებრივია, დაიწყება დაუსრულებელი ომები.

მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს ბატონ დიმიტრი მედვედევს და პრემიერ-მინისტრს ბატონ ვლადიმერ პუტინს – საქართველოდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოყოფა მეტად საშიშია თვითონ რუსეთისათვის. ეს მისცემს ბიძგს თქვენს ქვეყანაშიც სეპარატიზმის განვითარებას და მომავალში თქვენ გაცილებით მეტი პრობლემები გექნებათ, ვიდრე ეს დღეს საქართველოშია. ამაზე ღირს დაფიქრება.

იმ დროს, როცა უკვე დაიღვარა ოსების, რუსების, ქართველების სისხლი, ჩვენს შორის ვითარების კიდევ უფრო გამწვავება დაუშვებელია. დუმის დადგენილება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილებაა და ჩვენივე ქვეყნების კეთილდღეობისათვის გთხოვთ, იგი არ დააკანონოთ.

**ილია II,**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.*
25/VIII 2008 წ.

ⓞ ინფორმაცია

## ჯორჯ ბუში: პატივი უნდა ვცეთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილების გამო, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ეხება.**

ღრმად ვარ შეშფოთებული რუსეთის პარლამენტის ქვედა და ზედა პალატების მიერ პრეზიდენტ მედვედევისადმი მიმართვის გამო, აღიარებული იყოს საქართველოს რეგიონები – სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად. მოვუწოდებ რუსეთის ხელისუფლებას, შეასრულოს ყველა ვალდებულება და არ აღიაროს ეს სეპარატისტული რეგიონები, – ნათქვამია ჯორჯ ბუშის განცხადებაში, რომელიც თეთრმა სახლმა გაავრცელა.

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა სარგებლობდეს ისეთივე პატივისცემით, როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, მათ შორის – რუსეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

როცა პრეზიდენტმა მედვედევმა ხელი მოაწერა საფრანგეთის შუამავლობით მომზადებულ დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რუსეთი დათანხმდა, დაწყებულიყო საერთაშორისო მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ. ეს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე მოწონებულ მიდგომას, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შემთხვევაში ჩაიშლება, – აღნიშნულია ჯორჯ ბუშის განცხადებაში.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ამ ორი რეგიონის აღიარება შეეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომლებზეც რუსეთსაც თანამიმდევრულად აქვს ხელი მოწერილი.

ამერიკის შეერთებული შტატები მხარში ამოუდგება ქართველ ხალხსა და დემოკრატიას, მხარს დაუჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, – აცხადებს ჯორჯ ბუში.



## საქართველო და უკრაინა ნატოში უნდა შევიდნენ

**გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭებას დაჟინებით მოითხოვს, რაც იქნება შემდეგი ნაბიჯი ამ ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების გზაზე.**

მერკელი შვედეთის პრემიერ-მინისტრს ფედერიკო რაინფელდერს შეხვდა, რომლის დროსაც აღნიშნული თემაზეც იმსჯელეს.

ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორი უნდა იყოს შემდგომი ნაბიჯები. უდავოა, რომ შემდეგი საფეხური ეს არის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს ალიანსის წევრობას, მაგრამ არის ამისკენ მიმართული გზა, – აღნიშნა მერკელმა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

გერმანიის კანცლერი დარწმუნებულია, რომ საქართველო და უკრაინა უნდა შევიდნენ ნატოში.

მინდა, მივუბრუნდე ბუქარესტის დოკუმენტს. მაშინ ნატოს წევრმა ყველა ქვეყანამ ნათლად დააფიქსირა, რომ უკრაინა და საქართველო იქნებიან ალიანსის წევრები. ასეთივე იყო ჩემი პოზიცია, – განაცხადა მერკელმა.

რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, მერკელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი მძიმე მოვლენაა, თუმცა ეს იყო დემოკრატიული მოძრაობის ნაწილიც. ცალკეული სახელმწიფოები, რომლებიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ახლა თავიანთ გადაწყვეტილებებში თავისუფალნი არიან.

**ინტერპრესნიუსი**

ⓞ მხარე

# ვინ გადაარჩინა ზუგდიდი?

**საქართველოს იმ რაიონებს შორის, სადაც რუსები შევიდნენ და დაბანაკდნენ, ყველაზე მშვიდობიანად ზუგდიდი გადარჩა. არადა, საფრთხე მართლაც იყო. რუსულ-აფხაზური ბოევიკების შემოსვლისა და მოსახლეობის შესაძლო დარბევის გამო.**

ზუგდიდის გადარჩენის თაობაზე მოსახლეობაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ამბობენ, რომ მოსკოვში მცხოვრებმა გავლენიანმა ზუგდიდელებმა იზრუნეს თავიანთი თანამემამულეების გადარჩენაზე. ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. ზუგდიდის გამგეობის ადგილობრივ ხელისუფალთ მართლაც ლომის წილი მიუძღვის საფრთხის თავიდან აცილებაში. ისინი მუდმივად ხვდებოდნენ რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას. პირადმა ურთიერთობებმა და კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ შედეგიც გამოიღო. ზუგდიდი დაიცვა და დაიფარა ღვთისმშობლის კვართმა, რომელიც ზუგდიდის მუზეუმში ინახება – ასეთია მოსაზრება ზუგდიდის საზოგადოებრიობისა.

თუმცა ზუგდიდის რაიონის ენგურსგაღმა მდებარე ორი სოფელი – განმუხური და ხურჩა, აფხაზეთის იურისდიქციაში მოექცა. როგორც ამბობენ, ისინი მოსახლეობას არაფერს ერჩიან, მაგრამ 50-მდე ადგილობრივმა მკვიდრმა არ ისურვა აფხაზეთის მმართველობაში ყოფნა და დატოვა სოფელი. მათ დევნილის სტატუსი მიანიჭეს და დახმარებებიც მიიღეს. დანარჩენები კი არ ტოვებენ საკუთარ სახლ-კარს იმ იმედით, რომ აფხაზები მალევე დატოვებენ მათ სოფლებს. გუშინ ენგურსგაღმა ქართულ სოფლებში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყეს!

რაც შეეხება ენგურჰესს და წალენჯიხის რაიონის ენგურსგაღმა არსებულ სოფლებს, სადაც ასევე შევიდნენ აფხაზები, ეს ტერიტორიები მალევე დატოვეს და ენგურჰესიც ნორმალურად ფუნქციონირებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან**

ⓞ თავსმოხვეული ომის ექო

# კობა ლიკლიკაძე: ამ ვითარებაში, რასაც რუსეთის შეჩერება შეუძლია, ქართველი ხალხის მოთმინება და სულგრძელობაა

**ახლა ჩვენგან რაიმე სახის გამოხტომას რუსეთი პროვოცირებისთვის გამოიყენებს**

**რამ განაპირობა ომის დაწყება და იყო თუ არა ის რუსეთის პროვოცირებული? სამხედრო ექსპერტი კობა ლიკლიკაძე ფიქრობს, რომ მაშინაც კი, როდესაც ძალის გამოყენების გარდაუვალი აუცილებლობის წინაშე შეიძლება აღმოჩნდე, უნდა განსაზღვრო მოწინააღმდეგის შესაძლო რეაქცია და რისკები.**



– ცხინვალის მოვლენებამდე ეს თვალნათელი იყო. 58-ე არმიამ ჩაატარა სწავლება, რომლის ლეგენდა და ამოცანა იყო საქართველოს არმიის განადგურება: რუსეთის მოქმედი არმია მზად იყო, ერთი მხრივ, პროვოკაცია გამოეწვია და პროვოკაციის პასუხის შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაპირისპირებოდა.

რა გითხრათ, ალბათ, მაინც ჩვენ – ქართველებს (მათ შორის პრეზიდენტ სააკაშვილსაც ძ გვგონია, რომ რუსეთი ვერ გამოიყენებდა ყველა იმ რესურსს, რაც აამოქმედა. გვეგონა, რომ ეს არ გასცდებოდა ლოკალურ მასშტაბებს, მაგრამ მაინც მგონია, რომ სახელმწიფო მანქანა უფრო სრულყოფილად უნდა ფლობდეს ინფორმაციას ყველა შესაძლო სცენარით ვითარების გამწვავების შესახებ. ამ შემთხვევაში, არ ვიცი, რატომ უნდა გვქონოდა კეთილი რუსეთის იმედი ან იმის იმედი, რომ რუსეთი არ ჩაიდენდა იმას, რაც მოიმოქმედა. ამიტომ ილუზიაა, რომ რუსეთი არ ჩართავდა და არ გამოიყენებდა საავიაციო-სარაკეტო პოტენციალს, მაინც მგონია, არასწორი გათვლის შედეგია.

**– როგორ შეაფასებთ რუსეთის ფედერაციის სათათბიროს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის ფაქტს? რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ?**

– აპრილის შემდეგ, რუსეთს დე ფაქტო პირდაპირი კავშირები აქვს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, თუ გახსოვთ, ამით დაიწყო პროვოკაციებისა და აგრესიის კასკადი საქართველოს წინააღმდეგ. ეს პირდაპირი კავშირები აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრები ადამიანებისთვის დაამყარა. რუსეთის მოქალაქეობის მიღებას ვგულისხმობ, რაც მათთვის ძალიან მარტივია. ამისთვის მხოლოდ სურვილია საკმარისი. ხოლო თავად რუსეთის სიღრმეში მყოფი ემიგრანტისთვის ეს ურთულესი პროცესია.

საქართველოსთვის ამ წუთში უმნიშვნელოვანესია, ვეცადოთ, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარმა დატოვოს ახალგორის რაიონი, ასევე, საჩხერის რაიონი, ფოთი, კარალეთი და აღდგეს 6 აგვისტომდე არსებული სტატუს-კვო.

რუსეთმა ცალმხრივად გააფართოვა უსაფრთხოების ზონა, შექმნა ბუფერი, დაიპყრო კოდორის ხეობა. ახლა ქართული დიპლომატიის უპირველესი ამოცანაა საერთაშორისო ზემოქმედებით მიაღწიოს ამ ოკუპირებული ტერიტორიების თავისუფლებას. ჩვენ ვხედავთ, რომ სეპარატიზმის ტერიტორია 11-12 აგვისტოს შემდეგ გაფართოვდა.

იხ. 6 გვ.



**რა ვქნათ?**




# კავკასიის გადარჩენის გასაღები კავკასიაშია!

## სოხუმის და ცხინვალის დაკარგვის მიზეზი, შედეგი და გამოსავალი

*„პროგრესი კავკასიურ რასაში განივთდება. მხოლოდ კავკასიურ რასაში სული აბსოლუტურ ერთიანობას თავის თავში ნახულობს, თვითგანვითარებას აღწევს, და ამდენად ახორციელებს მსოფლიო ისტორიას.“*

*ჰეგელი*

**ჯერ კიდევ, 2005 წლის 24 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ქართველი ხალხი გააფრთხილა სააკაშვილის და მისი რეჟიმის საქართველოსთვის დამღუპველი კურსის შესახებ.**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია თავშივე შეიცავს „სააკაშვილის ადმინისტრაციის მეგობრულ, მაგრამ მკაცრ კრიტიკას“. რეზოლუციის თანახმად: „პოსტრევოლუციური სიტუაცია საქართველოს მთავრობისთვის გახდა ალიბი, რითაც ის ამართლებს თავის ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს და სრულიად უგულებელყოფს დემოკრატიის და ადამიანის უფლებების სტანდარტებს“.

უფრო მეტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რეზოლუციის პროექტის განხილვისას მათიას იორშმა პირდაპირ დაადანაშაულა საქართველოს ხელისუფლება იმაში, რომ იგი **„საერთოდ უგულებელყოფს ევროსაბჭოს რჩევებს და რეკომენდაციებს“.**

კერძოდ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაგმო საქართველოს ხელისუფლების მიერ 2004 წლის 6 თებერვლის ანტიდემოკრატიული და ადამიანის უფლებების ხელმყოფი კონსტიტუციური ცვლილებები, მათ შორის **აჭარისთვის ავტონომიური უფლებების შეზღუდვა და პრეზიდენტისთვის უზომო ძალაუფლების მინიჭება.**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა: „არსებითად და გადაუდებლად შეასწოროს აჭარის ავტონომიური მოდელი“, რაც რეზოლუციაში შეფასებულია, როგორც „არაადეკვატური მოდელი“, რასაც მათიას იორშის აზრით „მომავალში **უზარმაზარი კრიზისი** მოჰყვება.“ (ხაზგასმა ჩვენია — **ზ. ს.**ძ. მისი აზრით, აჭარას უნდა მიენიჭოს რეალური ავტონომია, რაც მომავალში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთისთვის მიმზიდველი მოდელი გახდება (ასიმეტრიული ფედერაციის ალექსიძე-ხუბუა-დემეტრაშვილისეული იდეა იმთავითვე მავნე იყო — **ზ. ს.**ძ.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წელს შეტანილი იმ ცვლილებების ღრმა რევიზია, რომელიც ვენის კომისიის დასკვნით: „პრეზიდენტს უზარმაზარ ძალაუფლებას აძლევს. **საკონსტიტუციო ცვლილებები აკნინებს პარლამენტის როლს** აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში, და პრეზიდენტს აღჭურავს ძალაუფლებით, ისე მართოს მთავრობა, რომ მის მიმართ პარლამენტმა ვერ გამოიყენოს უნდობლობის მოტივი“

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა იმ საკონსტიტუციო ცვლილებების გამო, რის საფუძველზე **პრეზიდენტს მიენიჭა მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიური უფლება,** რის გამოც სასამართლო სისტემა სრულიად დამოკიდებული გახდა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

უფრო მეტი, რეზოლუციის თანახმად: **„ხელისუფლება არ იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.** აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს დაწყებამდე წინასწარ აცხადებენ პიროვნებას დამნაშავედ, რითაც ზეწოლას ახდენენ საქმის განმხილველ მოსამართლეზე. მასობრივი ხასიათი აქვს წინასწარი პატიმრობის შეფარდებას და **გაუმართლებლად მკაცრ სასჯელებს, განსაკუთრებით მოხუცების, არასრულწლოვნებისა და ქალების მიმართ“.**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მიუღებლად მიაჩნია შეერთებული შტატების იურიდიული მოდელის კოპირება პროცესუალურ გარიგებასთან დაკავშირებით, თანაც დამახინჯებულად. „ასეთი საკანონმდებლო ნოვაცია საფუძველშივე ეწინააღმდეგება ევროსაბჭოს სტანდარტებს, რადგან ქმნის კორუფციის პირობებს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს მთავრობას მოუწოდებს დაუყონებლივ და არსებითად გადახედოს ე.წ. **„პროცესუალურ ვაჭრობას“** და მოიყვანოს კანონმდებლობა ევროსტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში“.

რეზოლუციის თანახმად: „ადგილობრივი მმართველობა საერთოდ არ არსებობს. „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის წესდების“ შესაბამისად ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს ადგილობრივი მერების დემოკრატიული არჩევნები“. ადგილობრივი თვითმმართველობის არარსებობამ ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა განსაკუთრებით ცენტრალურ და დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა, რის შედეგადაც ქართველებისგან დაცლილი და გაპარტახებული სოფლები, საერთო ჯამში კი დემოგრაფიული კატასტროფა მივიღეთ. **მე არ მინდა გაერთიანებული საქართველო ქართველების გარეშე!**

იხ. 5 გვ.

**ექსპერტის აზრი**



# პაველ ფელგენგაუერი: კრიზისიდან დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ გამოსავალს რუსეთმა ოკუპაციის ზონა არჩია

***„ნოვაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა სამხედრო ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის 25 აგვისტოს სტატიაში აღნიშნულია: საქართველოში შეჭრამ, მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციამ და გაპარტახებამ ვერ ჩამოაგდო მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური რეჟიმი, როგორც ამას მოსკოვში ბევრი იმედოვნებდა.***

ჩვენები აკონტროლებენ სხვისი ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და მათ პერიმეტრზე „ბუფერულ ზონებში“. ამ მონაპოვრებისთვის კი, ფასის გადახდა მოგვიწევს.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღსადგენად მრავალმილიარდიანი ხარჯები, როგორც ჩანს, ჩვენს ბიუჯეტს დააწვება. დასავლეთი, რასაკვირველია, მზად არის, გულუხვი დახმარებისთვის, მხოლოდ ერთი პირობით: საქართველოში უნდა განლაგდნენ საერთაშორისო სამშვიდობოები ძალიან შეზღუდული რუსული კონტინგენტის მონაწილეობით, ხოლო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში უნდა დაბრუნდეს ყველა ქართველი დევნილი. თუ რუსეთი უარს იტყვის უკან დახევაზე — საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდება.

სინამდვილეში, რუსეთთან კონფრონტაცია დასავლეთის წამყვანი ქვეყნების — საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის გრძელვადიან გეგმებში არ შედის. როცა ისინი მიხვდნენ, რომ საქმე ომისკენ მიდიოდა, გერმანიამ ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დარეგულირების სამეტაპიანი გეგმა შეიმუშავა, რასაც ახლდა ევროკავშირის პირობა, რომ დაეხმარებოდა ომითა და კორუმპირებული სეპარატისტების მრავალწლიანი მმართველობით გაჩანაგებული მხარეების აღდგენასა და ლტოლვილების დაბრუნებაში. ხოლო მოლაპარაკებები, რომლის მიმდინარეობის დროსაც ცხოვრების საერთო დონის გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე იქნებოდა საუბარი, შერიგების საფუძველი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ივლისში, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-კანცლერი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი რეგიონში გაემგზავრა, უკვე დაგვიანებული იყო. მოსკოვში მტკიცედ გადაწყვიტეს სააკაშვილის დამხობა და საამისოდ სამხედრო-ტექნიკური მზადება უკვე სრულდებოდა. გერმანელებს თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ უთხრეს უარი.

უკვე საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, ტრადიციულად მეგობრულმა საფრანგეთმა ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის სახით (გერმანიისა და იტალიის მხარდაჭერით) კრიზისიდან გამოსავალი შემოგვთავაზა. გეგმის არსი, რომელსაც მედვედევმა, სარკოზიმ და სააკაშვილმა მოაწერეს ხელი, ამგვარია — ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ქართული და რუსული ძალების საწყის პოზიციებზე დაბრუნება. ძალების დაშორიშორებისა და კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის შემდეგ კი, პოლიტიკური გამოსავლის მოძებნა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ. რუსული ხელმძღვანელობის მოთხოვნა — სააკაშვილის, როგორც სამხედრო დამნაშავის ხელისუფლებისგან ჩამოშორების შესახებ, უარყოფილი იქნა.

დასავლეთისთვის დღეს აშკარაა, რომ განცხადებები „ოსი ხალხის გენოციდის“ შესახებ პროპაგანდას ემსახურებოდა. განცხადება, რომ ცხინვალში „სულ მცირე ორი ათასი მცხოვრები დაიღუპა“, ჯერ კიდევ 9 აგვისტოს გააკეთა რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ, რომელიც თბილისში, კონფლიქტის ზონიდან ასეულ კილომეტრში იმყოფებოდა. ეს სიტყვები, რომლებიც არაფერს ემყარებოდა და დოკუმენტურად უარყვეს უფლებათადამცველებმა, აგრეთვე, საგამოძიებო კომიტეტის გამომძიებლებმა წინასწარი დასკვნებით, გამოიყენა ოსურმა ხელმძღვანელობამ, როგორც საფუძველი დარბევების ორგანიზებისთვის, სოფლების დანგრევისა და მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის სამხრეთ ოსეთიდან განდევნისთვის.

საბჭოთა პერიოდში სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტი ქართველები იყვნენ. ბოლო წლებში რუსულ პასპორტებს ადგილზე ყველა მუდმივად მცხოვრებს აძლევდნენ. ასე რომ, თითქმის მთელი ადგილობრივი ქართული მოსახლეობაც რუსეთის მოქალაქეებია. მაგრამ ჩვენმა ჯარმა, რომელმაც ცხინვალის რაიონი თითქოსდა მოქალაქეების დასაცავად დაიკავა, ქართველები დარბევებისგან არ დაიცვა.

თანამედროვე ევროპის მოქმედი პოლიტიკური ლიდერები ცივი ომის პერიოდში მუდმივად ომისა და საბჭოთა ტანკების შეჭრის მოლოდინით ცხოვრობდნენ. დღეს მათთვის საკითხი ევროპის მიმართ ამ მუქარის კვლავ დაბრუნების შესახებ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

იხ. 4 გვ.

განსჯა

*რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა. მან საფრთხე შეუქმნა ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. ყოველივე ამას საერთაშორისო საზოგადოების სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. როგორ აისახება განვითარებული მოვლენები საქართველოს მომავალზე, რამდენად ეფექტურია საერთაშორისო საზოგადოების ქმედებები და როგორი იქნება რუსეთის მომავალი გეგმები? — ამ საკითხებთან დაკავშირებით სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ პოლიტოლოგ მალხაზ მაცაბერიძეს ესაუბრა.*

# მალხაზ მაცაბერიძე: დღევანდელი რუსეთი თავისი იმპერიული პოლიტიკით წარმატების მიღწევას ვერ შეძლებს

**მალხაზ მაცაბერიძე:** რუსეთის არმია შემოიჭრა და დღესაც რჩება საქართველოს ტერიტორიაზე. მისი შეჩერება შეუძლია მხოლოდ რეალურ სამხედრო ძალას. მოსკოვთან არანაირ შეთანხმებას მოსკოვი არ იცავს. ესეც ვნახეთ სარკოზის გეგმასთან დაკავშირებით. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ დაპირისპირების პოლიგონი უკვე ვართ. პუტინსა და მედვედევს შორის დაპირისპირება საგარეო პოლიტიკაში, ისევე როგორც რუსულ საზოგადოებაში, არ არსებობს. რუსეთში არის „ველიკოდერჟავული განწყობა“. ისინი საქართველოზე ლაშქრობით თავს იწონებენ. ისინი თავს გამარჯვებულად თვლიან. მათ სხვა რიტორიკა აქვთ. რუსი ჯარისკაცები გვეუბნებოდნენ, რომ ჭკუა ასწავლეს ნატოსაც საქართველოში. ისინი გამარჯვებას ზეიმობენ და ალბათ მორიგი გამარჯვებისთვის ემზადებიან. პოლიგონი, შესაძლოა, გაფართოვდეს და რუსეთმა სხვა მიმართულებით გადაიტანოს თავისი შეტევა. ეს შეიძლება იყოს აზერბაიჯანი და ეს შეიძლება იყოს უკრაინა. რუსეთის იმპერია, ადრე თუ გვიან, კისერს წაიტეხს. ამის ფაქტიც მრავლად არის. საბჭოთა კავშირი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე რუსეთის დღევანდელი იმპერია, მაგრამ ის დაიმსხვრა და ვერც დღევანდელი იმპერია ვერ შეძლებს თავისი იმპერიული პოლიტიკით წარმატების მიღწევას.

**— როგორ შეაფასებდით საქართველოში შექმნილ ვითარებას და როგორ ფიქრობთ, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები როგორ აისახება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე?**

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი რთული და ძნელი იქნება. იმიტომ რომ ამ ომმა, რუსეთის ბოლო ომმა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა, აჩვენა რუსეთის გეგმები. გეგმები, რომელზეც ბევრი რუსი პოლიტიკოსი თუ ანალიტიკოსი წერდა. ამ გეგმის არსი საქართველოს სახელმწიფოს დაშლაში მდგომარეობს. ამის შესახებ ძალიან ბევრია ნათქვამი რუსულ გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში. რუსეთმა ამ გეგმას სრული სახით ვერ მიაღწია, მაგრამ მან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მთლიანობაში, ფაქტობრივად ჩამოართვა საქართველოს და პლუს ქმნის ბუფერულ ზონებს, საიდანაც გასვლას არ აპირებს. საქართველოს, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, ამ რეალობაში წინააღმდეგობის გაწევა, ჯერჯერობით, არ შეუძლია. საქართველოს სჭირდება დიდი მხარდაჭერა, რომ გაიყვანოს რუსეთის ჯარები იმ ტერიტორიებიდან, რომელიც დაიპყრო. სერიოზული დახმარება დანგრეული ინფრასტრუქტრის აღდგენაში და შეიარაღებული ძალების აღდგენაში, ასევე, როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ხანგრძლივვადიანი პერსპექტივაა. საქართველოს მართლაც მოუწევს კანონის მიღება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც ითქვა და ახლა აქ ლაპარაკია არა მყისიერ შედეგებზე, არამედ თუნდაც ისტორიულ გამძლეობაზე — ვის უფრო დიდხანს შეუძლია არსებობა, რუსეთის იმპერიას თუ საქართველოს ნებას აღიდგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა. ისტორიული გამძლეობა საქართველოს უფრო მეტი აქვს, ვიდრე რუსეთის იმპერიას.

**— რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა აღიარა. როგორ გგონიათ, ეს ფაქტი საქართველოს დამატებით პრობლემებს ხომ არ შეუქმნის?**

— ეს რუსეთს უფრო შეუქმნის პრობლემებს. ამ აღიარებით რუსეთი დაკარგავს ყოველგვარ უფლებას იყოს, რაღაცა სამშვიდობო ფუნქციის მატარებელი. მით უმეტეს, ამ ომის შემდეგ ამაზე ლაპარაკი უბრალოდ სასაცილოა. საქართველოსთვის ეს არის ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის მიერ და რუსეთი მათ მიიერთებს თუ დამოუკიდებლობანას თამაშს დაიწყებს, ეს უკვე მისი საქმეა. მთავარი საფრთხე კიდევ არის ის, რომ სეპარატისტული რეჟიმები, ანუ რუსეთის ადმინისტრაციები ამ რეგიონებში ქართველების ეთნოწმენდასთან, ქართველების გადმოდევნასთან ერთად ადმინისტრაციული საზღვრების გადმოწევას იწყებენ, იმ ბუფერული ზონების გარშემო რომელსაც რუსეთი აფიქსირებს ცხინვალის გარშემო და აფხაზეთის მიმდებარედ. ფაქტობრივად, რუსეთის აგრესია არ შეწყვეტილა საქართველოს წინააღმდეგ, მან მხოლოდ ფორმა იცვალა.

**— ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები როგორ აისახება რუსეთზე და მის პოლიტიკურ იმიჯზე?**

— რუსეთი თავის იმიჯზე არ ფიქრობს, პირიქით რუსეთს სჭირდება ჰქონდეს ასეთი იმიჯი: ვარ შეიარაღებული, ვარ მრისხანე და ვიბრუნებ ჩემს გავლენის სფეროებს და გეშონოდეთ ჩემი. ამით ცდილობს ბევრი რამის მიღწევას. საქართველო იყო პირველი ნაბიჯი რუსეთის ამ შეტევის პოლიტიკაში. მისი შემდეგი მსხვერპლნი ალბათ სხვა ქვეყნები გახდებიან. ცნობილია, მისი ულტიმატუმები აზერბაიჯანისადმი, რუსეთი მზად არის იყიდოს მთელი აზერბაიჯანული გაზი და ასევე, ცნობილია მისი გეგმები უკრაინის მიმართ, შეიძლება ზეწოლა მოხდეს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზეც. ახლა დამოკიდებულია დასავლეთი როგორ რეაქციას მოახდენს ამაზე. შეურიგდება და თვალს დახუჭავს და იტყვის, საქართველოს ბრალი იყო რუსეთის გაბრაზებაო და რუსეთის მორიგ აგრესიამდე არაფერს გააკეთებს, თუ საქართველოს დასაცავად მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამს რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის ეკონომიკური ზარალი საქართველოსთან ომით არაფერი არ არის. ახლა მთავარია დასავლეთმა სანქციებს შემოიღოს მის წინააღმდეგ, მაგრამ ჯერჯერობით არის მხოლოდ მუქარა და არა რეალური ნაბიჯები. დასავლეთს არ უნდა „ცივი ომის“ დაწყება. რუსეთი კი მიზანმიმართულად აგრძელებს იმ იმედით, რომ დასავლეთი ვერ გაბედავს მის შეჩერებას.

**— რამდენად ეფექტიანად მოქმედებს საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს დასაცავად?**

— რუსეთის გეგმები, რაც ლავროვმა გამოაცხადა, რომ სურს ხელისუფლების შეცვლა საქართველოში, თუ გავითვალისწინებთ გეგმებს, რაზედაც რუსი ანალიტიკოსები პირდაპირ წერდნენ თუნდაც მაისს-ივნისში, რომ მათი მიზანია საქართველოს დაშლა, ამერიკა ადგება და წავა, საქართველო ყველაფერზე პასუხს აგებს, ბევრს დამაშინებელი, სულელური ეგონა, მაგრამ თურმე რუსეთის პოლიტიკა მსგავს ანალიტიკურ პროგნოზებზე კეთდება. ჩვენ მთლიანად დაცული არ აღმოვჩნდით, ჩვენ მზად არ აღმოვჩნდით ასეთი მასშტაბური აგრესიის მოსაგერიებლად და როგორც ითქვა, არ ველოდით ასეთ აგრესიას, მაგრამ მსოფლიომ ამ აგრესიის პირობებში რუსეთს საშუალება არ მისცა ახალი 1921 წელი გაემეორებინა. და ეს ცხადია ამ მხარდაჭერის ეფექტიანობაზე მეტყველებს, თუ შევადარებთ 1921 წელს რაც გააკეთა რუსეთმა საქართველოში.

**— როგორ აისახება განვითარებული მოვლენები საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე. ყოველივე მომხდარი ხომ არ დააჩქარებს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრებას ან პირიქით, ხომ არ შეაფერხებს?**

— ამ მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საქართველო არის სრულიად დაუცველი და საქართველოს სჭირდება მყარი სამხედრო გარანტიები. და ეს გარანტიები პირველ რიგში მან ამერიკის შეერთებული შტატებიდან უნდა მიიღოს — ორმხრივ ფორმატში. ეს უნდა მოითხოვოს საქართველოს ხელისუფლებამ ღიად ან კულუარულად ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. რაც შეეხება ნატოს, მისი ლიდერები აცხადებენ, რომ კარი ღია რჩება. საქართველოს სვლა ნატოსკენ ალბათ უნდა დაჩქარდეს. მართალია ძალიან ძნელი იქნება, მართალია ნატოს რიგ ქვეყნებს აშფოთებს შექმნილი ვითარება, რუსეთთან დაპირისპირების გაღრმავება, მაგრამ ნატო უკვე ველარ იტყვის საქართველოზე უარს, ვერც დემოკრატების მოთხოვნა წამოვა წინ, რადგანაც ქვეყანა ნახევრად ოკუპირებული და საომარ მდგომარეობაშია. ახლა მთავარია უსაფრთხოების გარანტიის მიცემა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც ცალსახად აირჩია დასავლური ორიენტაცია და არ შეუშინდა რუსულ მუქარას. აქვე დასავლეთის პრესტიჟი და მისი გეოპოლიტიკური ინტერესები დგება დღის წესრიგში.

**ესაუბრა**
**ქეთი ხიდიშელი**

ექსპერტის აზრი

## პაველ ფელგენგაუერი:

# კრიზისიდან დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ გამოსავალს რუსეთმა ოკუპაციის ზონა არჩია

(მესამე გვერდიდან)

ნიკოლა სარკოზიმ გასულ კვირას „ფიგაროში“ აღნიშნა: „ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, რუსეთის ინტერვენცია მეზობელ საქართველოში უკიდურესად სასტიკი და გადაჭარბებული რეაქციაა, თუ ეს მოსკოვის ახალი გამკაცრებული მიდგომაა მეზობლებისა და მთელი მსოფლიო თანამეგობრობისადმი“. სარკოზის მტკიცებით, საქართველოში კონფლიქტის შედეგები, „თუ ეს ახალი ცივი ომის დასაწყისია, შესაძლოა, კატასტროფული იყოს“.

დასავლეთ ევროპაში ჩვენს „მეგობრებს“, შესაძლოა, რაღაცნაირად ეპატიებინათ ჩვენი მეტისმეტი გაცხარება. ამავე დროს, საქართველოში სამხედრო გზით პროდასავლური რეჟიმის დამხობის მცდელობა, როგორც ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ძალით დომინირების აღდგენის პროცესი, გარდაუვალად შეამჭიდროებს ნატოს. გერმანელები, ფრანგები და იტალიელები ამერიკელ პოლიტიკოსებთან შედარებით ნაკლებად მკვეთრი იქნებიან, მაგრამ მოსკოვის წინააღმდეგ სოლიდარულად იმოქმედებენ.

ახლა დასავლეთისთვის ორი ვარიანტიდან არჩევანის კრიტერიუმს წარმოადგენს რუსეთის ყველა სამხედრო ძალის სწრაფი და უპირობო გამოყვანა საქართველოდან, მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით. ნაწილობრივი ოკუპაციის შენარჩუნება თავისთავად არღვევს საქართველოს ერთიანობას და ინარჩუნებს პლაცდარმს მომდევნო ძალისმიერი აქციებისთვის.

სარკოზი ამტკიცებს, რომ მოსკოვმა ხელი მოაწერა ჯარების სრულ გამოყვანას და ეს პუნქტი „განხილვას არ ექვემდებარება“. „სულ რამდენიმე კვირით, ვიდრე ყალიბდება საერთაშორისო სამშვიდობო რეჟიმი, რუსეთს უფლება ეძლევა, მიიღოს „დამატებითი უსაფრთხოების ზომები მხოლოდ და მხოლოდ უშუალო სიახლოვეში სამხრეთ ოსეთთან და სხვაგან არსად საქართველოს ტერიტორიაზე“ — ამტკიცებს სარკოზი სააკაშვილისადმი წერილში.

მისივე სიტყვებით, უსაფრთხოების ზონაში რუს სამშვიდობოებს შეუძლიათ მხოლოდ ტერიტორიის პატრულირება დასახლებულ პუნქტებში შესვლის, მუდმივი საგუშაგოების შექმნისა და გზების გადაკეტვის გარეშე.

მალე ცხადი გახდა, რომ მოსკოვი ხელმოწერილ დოკუმენტს სხვაგვარად განიხილავს. სრული, დაჩქარებული გამოყვანის ნაცვლად ჩვენებმა 22 აგვისტოს განახორციელეს ძალების ნაწილობრივი უკანდახევა და შეინარჩუნეს თვითნებურად გაფართოებული უსაფრთხოების ზონა ოსეთისა და აფხაზეთის გარშემო — საქართველოსთან ან საფრანგეთთან შეთანხმების გარეშე.

იქმნება მუდმივი „სამშვიდობო“ საგუშაგოები და ბლოკსაგუშაგოები სხვის ტერიტორიაზე. ჩვენი სამხედროები აცხადებენ, რომ აქვთ უფლება, არეგულირონ „თავიანთ“ ზონებში საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლა და კრძალავენ მათ თავზე ნებისმიერ ფრენებს.

დასავლეთ საქართველოში არანაირი ბრძოლები არ ყოფილა. მაგრამ ინტერვენციის წინ სპეციალურად გარემონტებული რკინიგზის საშუალებით აფხაზეთში უფრო მეტი სამხედროები და ტექნიკა გადაისროლეს, ვიდრე — საკუთრივ ოსეთში. დასავლეთ საქართველოში რუსული ჯარები გაცილებით ღრმად შევიდნენ ქართულ ტერიტორიაზე, ახლა კი გენშტაბი გაიძახის, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ჯერ კიდევ საბჭოთა ავიაბაზა სენაკში (რომელიც აფხაზეთის საზღვრიდან 40 კილომეტრზე უფრო შორსაა) — ასევე ჩვენი „ზონის“ ნაწილია. სენაკზე გადის საავტომობილო და სარკინიგზო გზები ფოთისკენ, რომელიც გარე სამყაროსთან აკავშირებს არა მხოლო საქართველოს, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანს. ეს არის სტრატეგიული კონტროლის წერტილი.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსი სამხედროები ომის წარმოების ყველგან მიღებული წესებისა და კანონების დარღვევით განაგრძობდნენ ჯარების გადანაცვლებას, „ალაფის“ ხელში ჩაგდებისა და ქართული ობიექტების დანგრევის მიზნით. არსებობს უამრავი ცნობა დაუსჯელი ძარცვისა და მაროდიორობის შესახებ. ფოთში ჩვენებმა ხელში ჩაიგდეს 4 ამერიკული სამხედრო „ჰამერი“, რომლებიც პორტიდან სახლში უნდა გაეგზავნათ, ივლისში ქართულ-სომხურ-ამერიკული ანტიტერორისტული სწავლებების შემდეგ. ქართველი პატრულები პორტში დააპატიმრეს, როგორც „დივერსიული ჯგუფი“, მანქანებს კონფისკაცია უყვეს და ეს ყველაფერი ხდებოდა საბრძოლო მოქმედებების ზონიდან ორი ასეული კილომეტრის მოშორებით. გენშტაბის უფროსის მოადგილე ანატოლი ნოგოვიცინის განცხადებით, მანქანებს არ დააბრუნებენ. ჩანს, ჩვენებს არ ესმით, რაოდენ მნიშვნელოვანია დასავლური საზოგადოებისთვის საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი და როგორ სძულთ იქ ისინი, ვისაც სხვისი მანქანები მიჰყავთ. ახლა ინგლისურენოვან მედიაში მოპარული „ჰამერები“ რუსების პოლიტიკისა და ქცევის თავისებურებების მუდმივი გახსენებაა.

როცა ფაქტობრივად უარი თქვა საფრანგეთთან შეთანხმებულ გეგმაზე, რუსეთმა ხელიდან გაუშვა, შესაძლოა, უკანასკნელი შანსი, თავიდან აეცილებინა კონფრონტაცია დასავლეთთან, სადაც ინტერვენციამ საქართველოში უკვე გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის სერიოზული ცვლილებები. პოლონეთში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების მხარდაჭერამ ერთ კვირაში 30-დან თითქმის 60 პროცენტამდე მოიმატა. ჩვენი საგარეო უწყება „ევროპაში ახალი გამალებული შეიარაღების დაწყებით“, ხოლო სამხედროები — პოლონეთზე ბირთვული რაკეტების დამიზნებით იმუქრებიან. შედეგად მხოლოდ ანტირუსული განწყობების განმტკიცებას ვიღებთ.

რუსეთმა და დასავლეთმა ერთდროულად თქვეს უარი ნატოს ფარგლებში თანამშრომლობაზე. ისევე როგორც 1979 წელს ავღანეთში შეჭრისას, მოსკოვის გარშემო მტრული იზოლაციის რკალი იკვრება. მსგავსი იზოლაციისა და გამალებული შეიარაღების ათეულ წელზე ნაკლები პერიოდი გახდა საკმარისი, რომ საბჭოთა კავშირს ოთხმოციან წლებში პოლიტიკური და ეკონომიკური დაშლა დაეწყო. დღევანდელი რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირზე სუსტი და პატარაა. ჩვენი ეკონომიკა და ფინანსები, ჩვენი სუპერმდიდარი მმართველი კლასი დასავლეთზეა დამოკიდებული. ჩვენი წარმოება, კავშირგაბმულობა და ვაჭრობა ჩაკვდება დასავლური კრედიტების, მოწოდებისა და ტექნოლოგიების გარეშე. რუსეთი საბჭოთა კავშირზე გაცილებით მალე შეიძლება დაინგრეს.

სამაგიეროდ, „მოვასწარით“ საქართველოს დამცირება და „ჰამერებით“ სეირნობა...

რა ვქნათ?

# კავკასიის გადარჩენის გასაღები კავკასიაშია!

## სოხუმის და ცხინვალის დაკარგვის მიზეზი, შედეგი და გამოსავალი



(მესამე გვერდიდან)

ევროსაბჭოს საინფორმაციო წყაროს ცნობით, „ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციასთან დაკავშირებით **სააკაშვილის რეაქცია იყო უხეში**“. მისი ცნობით: **„სააკაშვილი ევროპას დაემუქრა ევროსაბჭოს წევრობის შეწყვეტით, ევროკავშირში გაერთიანებაზე უარით და სამთავრობო შენობებიდან ევროპის დროშის ჩამოხსნით“.** „...სააკაშვილმა, შეერთებულ შტატებთან კურიოზული მსგავსებით, განაცხადა, რომ ჩანს, ევროპელები ძალზე ნაზები არიან და არ შეუძლიათ გაიგონ ის გამოწვევები, რის წინაშეც მთავრობა აღმოჩნდა. ამის შემდეგ, ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს მან უწოდა მაღალი ხელფასის მქონე ბიუროკრატი, რომელსაც არ აინტერესებს ხალხის გასაჭირი.“ სააკაშვილმა იქვე დაამატა, რომ დაახლოებით ანალოგიურს მას ურჩევენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, მაშინ როდესაც ისინი **ღრმად ჩამორჩენილი პროვინციელები არიან.** ამასთან, ევროსაბჭოს საინფორმაციო წყაროს ცნობით, „სააკაშვილი კეთილი სახის შენარჩუნებას თამაშობს, როდესაც ცდილობს ზოგიერთი შესაძლებელი კომპრომისი თავის გადაწყვეტილებად გაასაღოს, და არა როგორც ოპოზიციის ზეწოლის შედეგი. მაგრამ მისი რეალური საქმიანობის შედეგებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების რეალიზაციასთან მიმართებაში დრო გვაჩვენებს“.

დრომ გვაჩვენა ის, რაც გვაჩვენა: **მივიღეთ მკვლელობების მთელი სერია, 7 ნოემბერი, ორი გაყალბებული არჩევნები და სხვა მრავალი დანაშაული.** არადა, 2006 წლიდან მოყოლებული, საზოგადოება, მათ შორის ოპოზიციური პარტიები, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების მიუღებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი კატასტროფული შედეგების შესახებ წინასწარ რამდენჯერმე გავაფრთხილე (სანიმუშოდ იხ. ჩემი საგაზეთო წერილი გაზეთ „რეზონანსში“ სათაურით: „ფრთხილად, ქართველნო, ჩვენ 30-იან წლებში გვაბრუნებენ“. 2006 წლის 23 იანვარი).

„მივიღეთ“ უფრო მეტი. რუსების, აფხაზების და ოსების წინააღმდეგ სამხედრო რიტორიკის შეწყვეტისა და აქტიურ დიალოგზე გადასვლის თაობაზე საერთაშორისო, მათ შორის ევროპული ორგანიზაციების და ევროპის მოწინავე ქვეყნების მეთაურთა მრავალი რჩევის და მოწოდების მიუხედავად, ქვეყნის შიგნით და გარეთ მორალური ავტორიტეტის და ლეგიტიმურობის კატასტროფული ვარდნის „გამოსასწორებლად“, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, საერთაშორისო თანამეგობრობის და ქართული საზოგადოების ყურადღების გადატანის გზით, **სააკაშვილმა და მისმა გუნდმა სამხედრო ავანტიურა წამოიწყო ცხინვალის რეგიონში** შევარდნაძის მიერ ნაჩუქარი იურიდიული ძალის მქონე მანდატით აღჭურვილი რუსეთის სამშვიდობო შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რასაც შეეწირა ასობით ქართველი და ოსი ახალგაზრდის სიცოცხლე, ხოლო ათასობით ოსი და ქართველი ლტოლვილად აქცია. ეს იყო ზნეობრივად ბინძური და სამართლებრივად დასჯადი დანაშაულებრივი ავანტიურა, რამაც საბაბი მისცა გამოუსწორებელ იმპერიალისტ და ვანდალ რუსეთს პროპორციულობის პრინციპის უხეში დარღვევით დანარჩენი საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა, რითაც შეიძლება საბოლოოდ წერტილი დაესვას ქართველი ერის მომავალს. **წინა ხელისუფლების „წყალობით“ რუსეთმა მოახდინა ქართველების ეთნიკური წმინ-**

**და აფხაზეთში, ხოლო მისი მემკვიდრეების „წყალობით“ რუსეთმა ქართველების ეთნიკური წმენდა ამჯერად ე. წ. სამხრეთ ოსეთში მოახდინა. რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია.**

სააკაშვილი შეფარულად შეერთებულ შტატებს აბრალებს „სამხრეთ ოსეთის“ დაკარგვას, მაშინ როდესაც რაისი კონფიდენციალურ საუბარში სააკაშვილს არწმუნებდა, ხელი აეღო მოუმზადებელი ინტერვენციისგან, რაზეც თანხმობა მიიღო. პენტაგონმა თავისი ტელეარხით, რომლითაც სააკაშვილმა რუსული არხი ჩაანაცვლა, აჩვენა კადრები, თუ როგორ შედიან ქართული ტანკები ცხინვალში და შემდეგ საერთაშორისო დაცვის ზონაში, როგორ უპასუხებენ გაძლიერებული სამშვიდობო ძალები ქართული მხარის ინტერვენციას. საერთაშორისო სამართლის და სამშვიდობო ძალების სტატუსის თანახმად, საქართველომ დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება. თუმცა ამას მოჰყვა რუსეთის არაპროპორციული ქმედება, რაც სრულიად სამართლიანად დაგმო ბუშმა. მაგრამ **ტერმინით „არაპროპორციულობა“ ბუშმა დაადანაშაულა სააკაშვილი კონფლიქტის პროვოცირებაში, ხოლო რუსეთი სამშვიდობო ძალების სტატუსით გათვალისწინებული უფლებების გადამეტებაში. მაშ ვინ არის დამნაშავე ქართული მხრიდან? ამერიკა, რუსეთი თუ...** (პენტაგონი ასე ჰაიჰარად არ გეგმავს საომარ ოპერაციებს).

**სააკაშვილი პოლიტიკურად და სამართლებრივად სრულიად უმწიფარი აღმოჩნდა**. მან 4 წლის განმავლობაში ელემენტარულად დროულად არ ამოწურა ყველა საერთაშორისო სამშვიდობო და შიდა სახელმწიფო-სამართლებრივი მექანიზმი რუსეთის სამშვიდობო ძალების „არასამშვიდობო“ მისიის მხილების მიმართულებით, რითაც სრული პოლიტიკური და ნაწილობრივ სამართლებრივი საბაბი „აჩუქა“ რუსეთს, აღიაროს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. თუმცა, საერთაშორისო სამართლის უზენაესი პრინციპების თანახმად, რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს, მაგრამ, **სამწუხაროდ, საერთაშორისო სამართალში, ჯერჯერობით, ძალა სჯაბნის სამართალს.** უფრო მეტი: დე ფაქტო შეიძლება უახლოეს მომავალში დე

იურედ იქცეს... (მაპატიეთ, მაგრამ, როგორც ქართველს, ამ საკითხზე მიჭირს საუბრის გაგრძელება).

მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, ისევ დაიწყება ამაზრზენი და გულისამრევი ზეიმი ლოზუნგით „ჩვენ გავიმარჯვეთ“ დარჩენილი რუსეთის ჯარის საქართველოდან გასვლასთან დაკავშირებით. პარალელურად, ეს გუნდი ქართველების თვალის ასახვევად რუსეთის მე-5 კოლონას ეძებს ოპოზიციაში, მაშინ როდესაც ამ გუნდმა გუშინ სწორედ რომ რუსეთს ჩააბარა ბევრი ეკონომიკური ბერკეტი, დღეს კი ქართლის გული. **საქართველოს კიდევ რომელი ძირძველი მიწაა რიგში?** სამეგრელო თუ ჯავახეთი? ბოლოს და ბოლოს, აზრზე მოდით, ხალხო! ასე რამ დაგიბინდათ გონება?!

რუსეთს ხელს აძლევს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არჩევნების გზით მისთვის სასურველი ადამიანები მოვიდნენ. ამერიკას ხელს აძლევს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდნენ მისთვის სასურველი ადამიანები. ორივე იბრძვის გავლენის სფეროებისთვის. **გამოფხიზლდით! არც ერთ მათგანს არ ადარდებს ქართველი ერის ბედი.** ამიტომ, მთელი კატეგორიულობით მივმართავ ქართველობას: ამერიკის და რუსეთის პოზიცია ჩვენთვის მიუღებელია, რადგან, საერთაშორისო სამართლის უზენაესი პრინციპის თანახმად, ორივეს ქმედება უნდა განვიხილოთ როგორც ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევის ცდა, ანუ **ორივე უგულებელყოფს ქართველი ერის ნებას, ანუ საქართველოს ხალხის სუვერენიტეტს.** ქართველი ერის ნების, ანუ საქართველოს ხალხის სუვერენიტეტის გამოვლენის ერთადერთი გზა გაუყალბებელი, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებია.

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ანუ აფხაზები და ოსები შემობრუნდებიან და ხალხი სულს მოითქვამს, თუ უახლოეს ხანში, უშუალოდ გაეროს და ეუთოს მიერ და მათი დაფინანსებით, ჩატარდება ვადამდელი თავისუფალი და გაუყალბებელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები** (იხ. სანიმუშოდ, გაეროს დოკუმენტები არჩევნების უშუალო მომსახურების თაობაზე: 1991 წლის 19 ნოემბერი, 1991 წლის 18 დეკემბერი, 1992 წლის 18 ნოემბერი, 1992 წლის აგვისტო, 1993 წლის 20 დეკემბერი). არჩევნების საერთაშორისო მექანიზმის ამოქმე-

დებისთვის ბრძოლის თაობაზე საზოგადოებას, მათ შორის ოპოზიციურ პარტიებს, 2006 წლის დასაწყისიდან მოვუწოდებდი (სანიმუშოდ იხილეთ ჩემი წერილი: „როგორ გადავარჩინოთ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას, ანუ როგორ ვიხსნათ საქართველო“. გაზეთი „ცისკარი“, 2006 წელი, 19 აპრილი).

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ანუ აფხაზები და ოსები ჩვენსკენ შემობრუნდებიან, თუ თავისუფალი და გაუყალბებელი არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი შეასრულებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2005 წლის 18 იანვრის რეკომენდაციებს, ანუ გააუქმებს საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფოებრიობის დამანგრეველ, ანტიდემოკრატიულ და ადამიანის უფლებების ხელმყოფ ცვლილებებს.**

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მოთხოვნების შესრულებას უნდა მოჰყვეს ხალხის მიერ აღიარებული, ჭეშმარიტად **ხალხის დამცველის** სოზარ სუბარის მიერ 2008 წელს საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილი საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის შესაბამისად ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების დარღვევის ფაქტების გამო სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა, მათი ყოველმხრივი გამოძიება, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ საქმეთა მიუკერძოებელი განხილვა და თანამდებობრივ დანაშაულთა ორგანიზატორების, თანამონაწილეთა და აღმსრულებელთა სანიმუშო დასჯა. ასევე უნდა მოხდეს ამავე მოხსენებაში ფიქსირებული საქართველოს მოქალაქეთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევების სამოქალაქო სასამართლო წესით სანიმუშო განხილვა, დარღვეული უფლებების აღდგენა და თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეებზე მიყენებული მატერიალური და ზნეობრივი ზარალის სამართლიანი ანაზღაურება.

**ჩვენი მიზანია, ერთხელ და სამუდამოდ აღვკვეთოთ ხელისუფლებაში გაყალბების და მოსყიდვის გზით მოსული ნებისმიერი ეროვნებაგარეცხილი გუნდის და მისი მეძროვე მსტოვრების მსუნაგობა და უზნეო გზით სხვის ხარჯზე უზომო გამდიდრება. მართლაც კმარა! დიდი ხანია, კმარა!!!**

ჩემთვის, როგორც პედაგოგისა და ერისკაცისთვის, სააკაშვილის და მისი გუნდის **ყველაზე დიდი უზნეობა შვილების მამებთან დაპირისპირებაა**. ეს გუნდი თაობათა შორის შუღლის ჩამოგდების მზაკვრულ პოლიტიკას ატარებს, თაობათა შორის ეროვნული მემკვიდრეობითობის ბუნებრივ ჯაჭვს წყვეტს ეროვნული რწმენის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის დარგებში დამანგრეველი „რეფორმების“ გზით.

ჩემო მრავალჭირნახულო ერო, ძველგაზრდებო და ახალგაზრდებო, გამოსავალი ზოგადად ერთია: დავძლიოთ ორი უკიდურესობისკენ — რადიკალური ეროვნული კარჩაკეტილობისკენ და რადიკალური კარგახსნილობისკენ — ჩვენი 18-წლიანი აფორიაქებული სწრაფვა. **ზომიერება, ზომიერება და კიდევ ერთხელ ზომიერება** ყველგან და ყველაფერში, მათ შორის ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, გადაგვარჩენს. კერძოდ, ძველგაზრდებო და ახალგაზრდებო: განვთავისუფლდეთ ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, მწერლობის და მართლმადიდებლობის შეფარულად დამანგრეველ კაცთმოძულეთგან გაუყალბებელი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით, ჩვენს შორის ჩატეხის პირას მისული ხიდი საერთოდ არ ჩავატეხინოთ, თუ არ გინდათ ჩვენივე შვილები მომავალში ჩვენვე აგვიჯანყდნენ. ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელები!

**დაბოლოს. გადაუდებლად უნდა შეიქმნას ეროვნული ხსნის კომიტეტი,** რომელიც არ დაკომპლექტდება სხვა სახელმწიფოების სპეცსამსახურებზე სულმიყიდული მსტოვრებისგან და ბნელი წარსულის მქონე ადამიანებისგან, რადგან, კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს: „როდესაც ერს ამოდენა მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს“.

ერთმა მამულიშვილმა, მისი გვარის დაუსახელებლად, ერთი მოწოდების გახმაურება მთხოვა: „სრულიად კავკასიის მამაკაცებო! ან შარვლები გაიხადეთ და კაბები ჩაიცვით, ან კავკასიის გარეთ მყოფი ყველა მტერი ერთად მოვიშოროთ“.

**„სხვა გზა, სხვა ხსნა არ გაგვაჩნია“.**

**ბიძინა სავანელი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.**

№ 160. ოთხშაბათი, 27 აგვისტო, 2008 წელი.

## თავსმოხვეული ომის ექო

# კობა ლიკლიკაძე: ამ ვითარებაში, რასაც რუსეთის შეჩერება შეუძლია, ქართველი ხალხის მოთმინება და სულგრძელობაა

(მეორე გვერდიდან)

**— ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, 6-პუნქტიან ხელშეკრულებაში გაურკვეველი, ორაზროვანი პუნქტებიც არის. რასაც რუსეთი სათავისოდ იყენებს...**

— ეს თავად ამ პოლიტოლოგებს უნდა ჰკითხოთ, რომლებმაც უნდა მოახდინონ აუდიტი და რეალურად, ექსპერტულად შეაფასონ, რა წერია სარკოზის ამ ყბადაღებულ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტში. შეიძლება რუსეთს რაღაცა ხელჩასაჭიდი ჰქონდეს, მაგრამ ეს ხელჩასაჭიდი არ სჭირდებოდეს, რაღაც მოიგონოს, და იმის გამო, რომ საერთაშორისო მედიაში ქართულ-ოსური კონფლიქტის ირგვლივ ყურადღება ჩაცხრა, ეცადოს ამ პაუზის გახანგრძლივებას. ამით საქართველოს პრობლემებს შეუქმნის და შეეცდება კვლავ შეცდომა დაგვაშვებინოს.

ასეთ შეცდომად მიმაჩნია პარტიზანული ომის წამოწყება. ახლა ვინმე ახალგორში მყოფ ას თუ ორას რუს ჯარისკაცს რომ თავს დაესხას, რუსეთი ამას ისევ სათავისოდ გამოიყენებს.

12 აგვისტოს მეგონა, რომ კარგი იქნებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ რეზისტენტობა, ანუ წინააღმდეგობის გაწევის წახალისება, მაგრამ ახლა მგონია, რომ ამგვარი რეზისტენტობის დრო არ არის, რადგან საერთაშორისო ბერკეტი და მექანიზმია ამოქმედებული, თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ქართველი ერის ნაწილი ამ სამარცხვინო ვითარებას არ შეეგუება და ოკუპანტებს სტიქიურ წინააღმდეგობას გაუწევს.

ბევრი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, ბევრსაც ოსმა და სხვა ბანდფორმირებებმა ახლობელი მოუკლეს. ქართველები ქრისტიანები ვართ, მაგრამ შურისგების ინსტინქტიც გვაქვს.

როცა ომის შემდეგ, რეალური შედეგი არ ჩანს და ოკუპანტები ერის დამცირებას ცდილობენ, უკვე ძნელია იცოდე, როდის, რა ამოქმედდება...

**— როგორც გავიგე, რუსეთის სათათბიროსა და შემდეგ პრეზიდენტის მიერ ორი რეგიონის ალიარების ფაქტი მაინცდამაინც არსებითად არ მიგაჩნიათ...**

— როგორ არ მიმაჩნია, მაგრამ, ვფიქრობ, რუსეთმა ძალიან დიდი შეცდომა ჩაიდინა ამ ორი სეპარატისტული ანკლავის ალიარებით.

**— რატომ არის ეს რუსეთის დიდი შეცდომა?**

— რუსეთს თავად დაუგროვდა ქვეყანაში მრავალი პრობლემა. იმის მიუხედავად, რომ ამ ომით რუსული პროპაგანდა მთლიანად დაკავებული იყო, ინგუშეთში და ჩეჩნეთში სერიოზული გამოსვლები, პარტიზანული მოძრაობებია. ჩრდილოეთ კავკასიაში წუთითაც არ შემწყდარა მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის. ეს იქნება იმპულსი სეპარატისტული რეგიონებისთვის.

**— რამდენად ეფექტიანი იქნება მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების იმედად ყოფნა, როცა რუსები სანგრებს თხრიან, საგუშაგოებს ამაგრებენ?**

— ახლა საქართველო ძალიან მძიმე ეკონომიკურ ვითარებაშია. ამიტომ მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების იმედად უნდა იყოს, რომელიც მართლა გააქტიურებულია, ისე, როგორც არასდროს. რასაც რუსეთის შეჩერება შეუძლია, ეს არის ქართველი ხალხის მოთმინება და სულგრძელობა, მათ შორის ვგულისხმობ ხელისუფლების მიმართ სულგრძელობასაც. ვფიქრობ, რუსეთისადმი საერთაშორისო ზემოქმედება თანდათან უფრო გამკაცრდება. რიჩარდ ლუგარმა განაცხადა, რომ რუსული წამყვანი კომპანიების აქციების ფასმა დაიწია, უკვე არის რეალური საშიშროება, რომ მას სოჩის ოლიმპიადის ჩატარების საშუალებას არ მისცემენ. რუსეთი დიდი საშიშროების წინაშე დგას. ახლა ჩვენ რომ ტანკებით გამოვხტეთ და ვუპასუხოთ, ეს ნიშნავს, რომ ისევ და ისევ პროვოცირების საშუალება მივცეთ.

რაკი საქართველომ 12-13 აგვისტოს სამხედრო წინააღმდეგობა შეწყვიტა და მთლიანად გადაერთო დიპლომატიური რესურსის მობილიზებაზე, ახლა ეს პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს. სხვა დროს შეიძლება სხვა პოლიტიკის დრო იყოს.

**— თქვენი აზრით, რატომ არის გასაიდუმლოებული ჩვენი სამხედრო დანაკარგები ამ ომში?**

— ცხედრების მოძიებისა და ტყვეების გაცვლასთან ერთად, საბრძოლო ტექნიკის დათვლაც აუცილებელია. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია დაზუსტებული არ არის, მაგრამ დიდი ხნით ამ პაუზის გაგრძელება ძალიან საშიშია. ინფორმაციის არარსებობის დროს, მისი დეზინფორმაციით გაჯერება ხდება. ხელისუფლება ცდება, თუ ჰგონია, რომ რაღაც აკრძალვით რუსული საიტები მიუწვდომელია. ასე არ არის. ამ ინფორმაციების არარსებობის გამო, ქუჩაში, ავტობუსსა თუ მეტროში ყველა ამბობს, რომ ქართულ მხარეს 1200-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცია.




ჩემი ინფორმაციით, ეს რიცხვი 300 დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო ჯარისკაცს არ აღემატება. მაგრამ ეს ციფრი უნდა გამოცხადდეს. ამ ჯარისკაცების სახელები უნდა ამოიტვიფროს გმირთა მემორიალზე. უგზოუკვლოდ დაკარგულებიც, გარკვეული დროის შემდეგ, შეიძლება გაიგივდნენ დაღუპულებთან, ვფიქრობ, ჩვენი მორალური ვალია, ისინი ერთად დაიკრძალონ საძმო სასაფლაოზე. საქართველოს ხელისუფლებამ პატივი უნდა მიაგოს იმ ვაჟკაცებს, რომლებიც 3 დღის განმავლობაში უთანასწორო ბრძოლაში აჩერებდნენ რუსეთის 58-ე არმიას, და კიდევ რა ვიცი, რომელ საავიაციო დივიზიას. ვფიქრობ, ეს ციფრები რამდენიმე დღეში ხელმისაწვდომი გახდება.

აქ დასამალი არაფერია. ეს იყო ომი, რომლის დროსაც იყო დანაკარგები. ვხედავდით, როგორ გაჰყავდათ რუსებს ქართველების ტანკები, ანადგურებდნენ ტექნიკას, გაჰქონდათ ამერიკული და რუსული წარმოების შეიარაღება. ეს არის საბრძოლო დანაკარგი. რუსებმა სია გამოაქვეყნეს, ახლა საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადაამოწმოს ინფორმაცია, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა — იმის მიუხედავად, რომ ნადავლის სახით გატანილია გარკვეული საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის ტანკები, საარტილერიო დანადგარები, მათი რაოდენობა განადგურებულია, საქართველომ შეძლო დიდი ნაწილის გადარჩენა და სამშვიდობოს გატანა.

**— ზარალი რამდენს შეადგენს?**

— თუკი არ არსებობს პირველი მონაცემები, თუ რა არის დაკარგული და დაზიანებული, ბუნებრივია, ზუსტად დათვლა გაძნელდება, მაგრამ რაც მოხდა და რასაც მთელი ამ ორი კვირის განმავლობაში ვხედავდით: დანგრეულ ბაზებს, აოხრებულ საფრენ ბილიკებს, გადამწვარ ხაზებს, სარადარო სისტემებს... ეს ზარალი რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს აღემატება.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## აირევი — ივერია

# მჩთხელ საქართველოში...

## ...და იდგა ჟამი „შადრევან-I“-ის მეფობისა...

ერი პურდებოდა მეფის დაპირებებით, დაპირება კი, იცოცხლეთ, კარგი იცოდა მეფემ. ამ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, თვალებში ნაცრის შეყრით, მეორე ვადითაც კი გაამეფა იგი ტვინდაბნელებულმა „უმრავლესობამ“, შადრევნების გახსნაზე, გზების შეკეთებაზე და შენობათა ფასადების გადალებვაზე ჭკუა რომ ეკეტებოდა, „მი-შა, მი-შას“ გაჰკიოდა სახელდახელო მიტინგებზე, რამეთუ კერპთაყვანისმცემლობა, საერთოდ, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ამ ხალხსა.

საქართველოში ისტორიულად ასე იყო. უმეტესად მეზობელი იმპერიების ხელდასხმით განაგებდნენ (ვითომ განაგებდნენძ მეფეები ქვეყანას და გადამთიელთა ვასალობაში მიდიოდა დრო და წუთისოფელი...

„შადრევან-I“ მძლეთამძლე ამერიკას უგორებდა კოჭს, ნაბიჯს ვერ დგამდა ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. ამერიკაც გვეხმარებოდა, იცოცხლეთ, გვეხმარებოდა, მაგრამ ჩვენი უძველესი ისტორიისა და კულტურის გამო რომ არა, ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ამერიკა დოლარს როგორ დახარჯავდა, თუ შიგ მისი ინტერესები არ ერია. ჩართო ამერიკამ საქმეში მილიარდერი სოროსი, აიყოლია ევროპა, ნახეთ, რა რეფორმებს ატარებენ საქართველოში „შადრევან I“ სულ ჩვენს ჭკუაზე, დადის, ფეხებზე დაიკიდა ეროვნულობა, მწერლობა, მეცნიერება, სწავლა-განათლება... ჰოდა, იქნებ მივიღოთ „ნატოში“, ჩვენი კაციაო...

რაიო, რაიო?! აიძოჩრა, აიფხორა, აიძაგრა რუსეთი, კავკასია ჩემია, ხელი არ მიგიწვდებათ, ფეხი არ ჩაგივათო...

აბა, ატყდა წიწაობა ამ ერთი ციდა მიწისთვის, შეხვალთ ნატოში, აფხაზეთს და ოსეთს დაემშვიდობეთ ქართველებიო, არ შეხვალთ, მაინც დაემშვიდობეთო.

ერთი, მეფეთათვის ფრიად დამღუპველი თვისება ჰქონდა ახალგაზრდა მეფესა: არავის რჩევას არ ილებდა, დიპლომატია და ნახევარტონებით ლაპარაკი არ სჩვეოდა, ხალხს უკვე მისი მოუზომავი ბაქიბუქი, შინაური და გარეშე მტრების ლანძღვა-გინება ნანინასავით ჩაესმოდა.

მიდგა იგი რუსეთის პრეზიდენტს, სულ „ლილიპუტინი“ უძახა ახალ იმპერატორს, აჰყვნენ ნაზირ-ვეზირები, ატეხეს, რა ატეხეს... რუსმა ხან თავისი სპეცსამსახურებით, ხან აფხაზებისა და ოსების „შორსმჭვრეტელ“ ხელისუფალთა ჭკუით, მოამწიფა ის დღეები, რომელსაც მემატიანე საქართველოს დამაქცევარ 2008 წლის აგვისტოს დღეებად მოიხსენიებს აწ და მარადის...

რა გვიყო კაცო, ეს რა დღეში ჩაგვაგდოო, გაისმოდა აქეთიქიდან, რუსი დამპყრობელი, თითქმის თბილისის კარს რომ მოადგა.

გამოექომაგა საქართველოს მსოფლიო ბუშის თავკაცობით, უფრო თავისი თავი გასჭირვებოდა ბებერ ევროპას, ემანდ, ამ სამმა (სააკაშვილმა, პუტინმა და ბუშმაძ მსოფლიო ომი არ დაიწყონო... დაახევინეს უკან რუსეთს, „ჩააჩოჩეს“, მაგრამ მისი ბოლმა და ამპარტავნობა რომ ვიცით, ჯერ სანახევროდაც არ არის ამ ბედუკუღმართი ქვეყნის საქმე მოგვარებული.

რა გველოდება წინ?

შიმშილი და სიცივე,

უამრავი დაღუპულის დატირება,

უამრავი დევნილის დაბინავება,

უამრავი განადგურებული შენობის და ინფრასტრუქტურის აღდგენა,

რაც მთავარია, რწმენის აღდგენა ქართველ კაცში, რომელიც ერთ დაძახილზე დაიძრა ცხინვალისკენ, მაგრამ უკვე, ნურას უკაცრავად, ხელში, მერამდენედ, გაცრუებული იმედებიღა შერჩა.

მეფე ისევ დასავლეთისკენ იყურება, მეფემ ხელგაშვერილ ცხოვრებას მიაჩვია ამაყი ქართველობა, მეფე ტელეეკრანებიდან კვლავ უკმეხად შეჰყურებს დაღლილ-დაქანცულ ხალხს, კვლავ რაღაც-რაღაცებს „აბრახუნებს“, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო... და თვალებს აბრიალებს.

ამასობაში კი რუსეთის დუმამ და პრეზიდენტმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა...

ვაი, ჩვენს თავს...

...და იდგა ჟამი „შადრევან-I“-ის მეფობისა...

**ვილენ მარდალეიშვილი.**

◉ პრობლემა

# წყალში ვდგავართ და წყურვილი გვახრჩობს, რა გვიშველის?

*— რა მოხდა? როგორ გადავურჩით ქუთათურები „ბარბა-რუსებს“ და მათს ბარბაროსულ შემოსევას? — ცნობილი პოეტის, რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატის ტარიელ ჭანტურიას კალამბურის მოშველიებით ვეკითხები ჩემს რესპონდენტს, ახალგაზრული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის თავმჯდომარეს ზაზა ხელაძეს.*

— შეუტყვიათ, წყალში დგანან, მაგრამ უწყლობით იხრჩობიანო და ჩვენს ასაწიოკებლად თავი აღარ გამოიდეს, — მიპასუხა და განაგრძო, — იმ ხუმრობას რა ვუთხარი, ნახევრად მაინც არ იყოს მართალი, მით უფრო, რომ დადგა დრო, როცა საქართველოსათვის ცრემლზე უფრო მწარეა.

გულგასატეხი მაინც არაფერი გვჭირს, რადგან ჭირლობების დროულად მოშუშების მიზნით მთელი მსოფლიო ჩვენს გვერდით არის და გვეშველება, ახლა მაინც ნამდვილად გვეშველება, თუ თვითონ ჩვენ არ დავივიწყებთ არც იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერთმანეთის გვერდით დგომას და არც იმ თითოეული თეთრის გონივრული გამოყენების აუცილებლობას, რითაც ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები გვეხმარებიან.

**— როგორც ჩანს, თქვენ ამჯერად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 აგვისტოს ნომერში დასტამბულ იმ ინტერვიუს გულისხმობთ, რომლის რესპონდენტი „ფოთის წყალკანალის“ გენერალური დირექტორი ვლადიმერ მსხილაძეა.**

— მართალს ბრძანებთ. ფოთის, მარტვილისა და სენაკის მოსახლეობის 24-საათიანი წყალმომარაგება წლის ბოლოდან დაიწყებაო, — ნათქვამია ინტერვიუში. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ წყალსადენის მშენებლობას ოკუპაციის უმძიმესი შედეგებიც ვერ შეაფერხებენ და ამჯერად „წყალში რომ დგას და სასმელი წყალი კი სულ ენატრება, იმ ფოთის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება“.

**— როგორც ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით თქვენი ორგანიზაციის მიერ 2007 წლის 24 ოქტომბრის კონფერენციაზე არჩეული მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, დანამდვილებით ვიცი, რომ ამ მხრივ ქუთაისი ფოთს ძლიერ ჩამორჩა.**

— დიახ, სამწუხაროდ, ასეა. „ფოთწყალკანალის“ ხელმძღვანელობის თაოსნობითა და ქალაქის მთავრობის მხარდაჭერით წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად კაპიტალური სამუშაოები 2006 წლიდან დაიწყო. ქუთაისში კი 2008 წლის აპრილამდე იმ პრეტენზიის გათვალისწინებაც გაჭირდა, რომელიც თქვენს მიერ ხსენებულ კონფერენციაზე პროფესიონალმა ჰიდროლოგებმა დაასაბუთეს და უცხოელმა ექსპერტებმაც გაიზიარეს, რადგან ზუსტი მეცნიერული და ეკონომიკური კრიტერიუმებით იყო საუბარი ქალაქის შიგა ქსელის რეაბილიტაციის მაღალეფექტიანობაზე.



მონიტორინგის ჯგუფი და ასოციაცია „ასა“ დარწმუნებულნი არიან, რომ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას აინტერესებს ქუთაისის 24–საათიანი წყალმომარაგების დაჩქარება. ამის დასტურია ქუთაისში გამართულ სამთავრობო სხდომაზე პრეზიდენტის გამოსვლა, იმერეთის გუბერნატორის განცხადება და ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატთან აკაკი ბობოხიძესთან შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაცია, მაგრამ მათს კეთილ სურვილებს ფეხი ვერც პროექტის ავტორებმა და ვერც მისმა განმხორციელებელმა ვერ აუწყვეს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ დღემდე ვერ განხორციელდა ელემენტარული საჯაროობა და არ გამოქვეყნებულა არც პროექტის ხორცშესხმის გეგმა, არც გარემოსდაცვითი და სოციალური შეთანხმებები, არც საზოგადოებრივი ინფორმაციის მიწოდებისა და არც პროექტის შემადგენელ ნაწილთა კონკრეტული სამუშაოების შესრულების გეგმა, თუმცა ამას ითვალისწინებდა ხელშეკრულებები, რომლებიც შემსრულებლებსა, პროექტის ავტორებსა და ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის დაიდო.

**— არც იყო მოსალოდნელი. მე თქვენთან და მონიტორინგის ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად წლეულს, 9 ივლისს ვესწრებოდი ქუთაისის საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომას და ამაში პირადად დავრწმუნდი. სიზუსტე რომ დავიცვა, უცვლელად გთავაზობთ ამონარიდს უშუალოდ ამ სხდომის ოქმიდან: „„ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ინფორმაციას არ ვფლობთ. ამიტომ მოვითხოვთ პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას, სადაც გაწერილი იქნება, თუ რომელი ხელშეკრულებით რა დაეკისრა კონკრეტულ ორგანიზაციას, რა ეტაპზეა მიმდინარე სამუშაოები, რამდენი ტენდერი გამოცხადდა“.**

**ამ გულახდილი აღიარების ავტორია ქალაქის საკრებულოს წევრი ანდრო ლოსაბერიძე, ეს კი ძალზე მრავლისმეტყველი ფაქტია.**



— გეთანხმებით. ფოთისა და ქუთაისის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად თითქმის თანაბარი თანხაა გამოყოფილი: ათასწლეულის პროგრამის გრანტიდან 4 მილიონ 266 ათასი ევრო, შვედეთის დახმარების პროგრამიდან – 2 მილიონ 800 ათასი ევრო, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან სესხის სახით – 3 მილიონი ევრო. ამის გარდა ქართული ფული – 1 მილიონ 854 ათასი ევრო. ყველა ზემოხსენებული თანხის ჯამი ფაქტობრივად ემთხვევა ფოთში შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულებას – 27 მილიონ 39 ათას ლარს, მაგრამ ფოთისაგან განსხვავებით, რომელიც წყალს მარტვილის რაიონის მაღალმთიანი სოფელ ბალდიდან თვითდინებით მიიღებს, ქუთაისში ზემოხსენებული თანხა მხოლოდ ქალაქის შიგაქსელების რეაბილიტაციასა და გამრიცხველიანებას მოხმარდება.

თუ გავიხსენებთ, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა წყალს ორ დღეში ერთხელ, თანაც მხოლოდ ორი ან სამი საათით იღებს და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დანაკარგები 40-დან 47 პროცენტამდეა, თუნდაც რომ მოხდეს სასწაული და წელიწადნახევარში შესრულდეს ის სამუშაო, რასაც ფოთელები სამ წელიწადს მოუნდნენ, ქუთაისს 24-საათიანი წყალმომარაგება მაინც ვერ ექნება. ერთადერთი გამოსავალი წყლის თვითდინებით მიღებაა.

**— თქვენ ქუთაისისა და წყალტუბოს წყალმომარაგების იმ სავარაუდო გეგმას გულისხმობთ, რომელიც ცაგერის რაიონის წყალუხვი მდინარის გამოყენებას ითვალისწინებს?**

— დიახ, და ამ მხრივ ძალზე საინტერესო იყო იმერეთის გუბერნატორის პასუხი პრეზიდენტის იმ შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ქალაქის 24-საათიანი წყალმომარაგების შესახებ ქუთაისში გამართულ მთავრობის სხდომაზე ითქვა.

ცნობილი ქართველი ჰიდროლოგებისა და დარგის სხვა აღიარებული სპეციალისტების აზრით, კარსტული წარმოშობის მდინარე რაჭხა, რომლის სიგრძე ღია კალაპოტში 2 კილომეტრს არ აღემატება, სრულად პასუხობს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ ხარისხს და რაოდენობას, ამასთან სავსებით საკმარისია როგორც ქუთაისის, ისე წყალტუბის რაიონის 24-საათიანი წყალმომარაგებისათვის.

**— მაშ, რა ხდება, როდის ეღირსება ქუთაისს დაპირებულის შესრულება — 24-საათიანი წყალმომარაგება.**

— არც არასდროს, თუ ჩვენ, თქვენ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სიცოცხლის ელექსირი იმ ცხრათავიან დევს არ წავართვით, რომელიც წყაროსთან ერთად ჩვენს ყოველდღიურობას წამლავს. ერთ-ერთი ამ თავისა თუ უთაურობის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, როცა ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალაქმა და მისმა თვითმმართველობამ დღემდე ისიც კი არ იციან, ქუთაისის წყალსადენის მდგომარეობის შესწავლისას რა პარამეტრებით გაიმარჯვა ჯერ ფირმა „ჯაკობსმა“, შემდეგ კი ფირმა „გამამ“ და როდის გაეცნობიან იმ პროექტებს, რომლებმაც თბილისიდან ქუთაისამდე ოთხი წლის განმავლობაში ვერ ჩამოაღწიეს.

**— მაშ თქვენი აზრით, ცხრათავიანი დევის თავიდათავი ბიუროკრატიზმია?**

— რასაკვირველია, ბიუროკრატიზმი და არა მარტო ეს.

მრავალი რამ დავივიწყეთ. მათ შორის დროის ფასი და ცალკეულ წამოწყებათა ეფექტიანობის ზუსტი გათვლა თითოეული თეთრის გათვალისწინებით. რომ მოხდეს სასწაული და თვითდინების ნაცვლად ქუთაისმა წყალი 24-საათიანი სადღეღამისო მომარაგებისათვის ისევ და ისევ ფარცხანაყანებიდან და მუხიანიდან მიიღოს, ეს ნიშნავს, რომ ელექტროენერგიის ხარჯვა უსაზღვროდ გაიზრდება და წყლის ღირებულება კოლოსალურ თანხას მიაღწევს. არადა, რაჭხიდან თვითდინებით მიღებისას ქსელში თუთიის ჰიდროენერგოტურბინების ჩამონტაჟება ელექტროენერგიას აქეთ მოგვცემს, რასაც დღევანდელ პირობებში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ „საქართველოს რესპუბლიკას“ იმ ყურადღებისათვის, რასაც ქუთაისის კომუნალური მეურნეობის, განსაკუთრებით კი მისი წყალმომარაგების პრობლემებისადმი იჩენს, — განაცხადა საუბრის დასასრულ რესპონდენტმა, — ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთობლივი ბრძოლით შეუძლიათ იმ დევის დამარცხება, რომელიც ჩვენს წყალუხვ ქვეყანაში წყალს გვტაცებს.

* * *

**ცნობილი სამთო ინჟინრის დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალის, ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხელაძის ზემოხსენებული სიტყვებისა მჯერა და მე — შვიდ ათეულს გადაცილებული ჟურნალისტი — ახალგაზრდული შემართებით ამიტომაც ჩავები მის გარშემო შეკრებილი, მამულიშვილურად მოაზროვნე ქალიშვილებისა და ჭაბუკების იმ ბრძოლაში, რომლის საბოლოო შედეგი, ჩემი ღრმა რწმენით, ქალაქისა და ქვეყნისთვის ბევრი სასურველი შედეგის მოტანა იქნება, მით უფრო თუ მალე მოხერხდა ყველა სახის „დევის“ განდევნა, მათ შორის მედვედ-დევების ნაშიერებისაც, რომლებიც ჯერ კიდევ დაძრწიან იმ ქალაქში, 9-თავიანი დევისაგან რომ გაანთავისუფლა უკვდავების წყაროს წყალი.**

ალექსანდრე შენგელია,
„სრ“ საკ. კორ.

**სურათებზე:** ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხელაძე; მდინარე რაჭხასთან ჟურნალისტები პროფესორ ოთარ შაუთიძისგან იღებენ ინტერვიუს.

ლაშა ჭელიძის ფოტო

◉ შორს იარაღი!

# მთელი მსოფლიოს გასაგონად!

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია სულ უფრო მზარდ შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. გარესამყარო მოწმეა ჩვენს ქვეყანაში რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და მათი თანმხლები ბანდფორმირებების ზღვარგადასული დანაშაულებრივი ქმედებების.

ამ დღეებში აქტიურად მუშაობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პრესცენტრი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას: ჩინეთს, იაპონიას, არაბულ ქვეყნებს, თურქეთს, ინდოეთს, ირანს, კორეას, ობიექტურ ინფორმაციას აწვდის რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფის მიზნით წამოწყებულ სამხედრო აგრესიაზე.

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის წამყვანი ექსპერტები სისტემატურად გამოდიან მსოფლიოს წამყვან ტელე და რადიო საინფორმაციო გადაცემებსა და დისკუსიებში, როგორიცაა ბიბი-სის არაბული რედაქცია, ალ-ჯაზირა, ალ-არაბია, „ეგვიპტის ტელევიზია“, საფრანგეთის „24 საათის“ არაბული არხი, იაპონიის საინფორმაციო სააგენტო და სხვა.

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი მოუწოდებს აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე კოლეგებს, ჟურნალისტებს, საზოგადოების დემოკრატიულ ძალებს, იქ მცხოვრებ თანამემამულეებს ობიექტურად გააშუქონ და საზოგადოების ფართო ფენებს გააცნონ საქართველოში მიმდინარე მოვლენები.

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პრესცენტრი

◉ ინფორმაცია

## რუსეთი „შავი ზღვის დაცვის კონვენციიდან“ უნდა გაირიცხოს

**საქართველოს** გარემოს დაცვის სამინისტრო „შავი ზღვის დაცვის კონვენციიდან“ რუსეთის ფედერაციის გარიცხვას ითხოვს.

როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან იტყობინებიან, მინისტრმა ირაკლი ღვალაძემ კონვენციის მმართველ სამდივნოს მიმართვა უკვე გაუგზავნა, რომელშიც ფოთის პორტში ჩაძირული გემებისა და იქ ჩაღვრილი ნავთობპროდუქტების შესახებ არის საუბარი.

— რუსეთმა საქართველოს დიდი ზარალი მიაყენა, ააფეთქა ფოთის პორტი და ჩაძირა რამდენიმე ხომალდი. ზღვაში გემების საწვავი ნავთობპროდუქტები ტონობით ჩაიღვარა, რამაც შავი ზღვის დაბინძურება გამოიწვია, — ნათქვამია მიმართვაში.

ღვალაძის განცხადებით, შავი ზღვის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას სპეციალური ორგანიზაცია „შავი ზღვის დაცვის კონვენცია“ იცავს და მისი წევრები ვალდებულნი არიან, დაიცვან ზღვის ეკოლოგიური უსაფრთხოება.

ამ ორგანიზაციის წევრი საქართველოს, თურქეთის და სხვა ქვეყნების გარდა, რუსეთის ფედერაციაც არის. მინისტრი მიმართავს კონვენციის მმართველ სამდივნოს, რათა განიხილოს საკითხი ამ კონვენციიდან რუსეთის გარიცხვის შესახებ.

ინტერპრესნიუსი

რას წერენ ჩვენზე

# დასავლეთი დუმის მიმართვის წინააღმდეგ გამოვიდა



**„დიდი შვიდეულის“ ქვეყნების წარმომადგენლები შეშფოთებული არიან პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისადმი რუსეთის პარლამენტის მიმართვით, რომელშიც დეპუტატებმა მოუწოდეს მას, აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.**

ამის შესახებ იტყობინება რეიტერის სააგენტო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის დამოწმებით. დიდი შვიდეულის ჯგუფში შედიან ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და კანადა.

„დიდი შვიდეულის ქვეყნები მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამასთან დაკავშირებით შეშფოთებული არიან რუსეთის გეგმით, აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა“, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. რუსეთის ფედერაციის საბჭომ და სახელმწიფო დუმამ ორშაბათს ერთხმად დაამტკიცეს პრეზიდენტისადმი მიმართვა თხოვნით აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ორივე რეგიონი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც საქართველოს ნაწილი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება „ისეთივე უკანონოა, როგორც ევროპის ნაცისტური ოკუპაცია“.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გამოვიდა განცხადებით, რომლითაც მოუწოდა რუსეთის ხელმძღვანელობას, არ აღიაროს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

ბუშის სიტყვებით, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრები იმსახურებენ ისეთსავე პატივისცემას, როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსი, მათ შორის, რუსეთისა“.

„მე ღრმად შეშფოთებული ვარ რუსეთის ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო დუმის დღევანდელი მიმართვით პრეზიდენტ მედვედევისადმი თხოვნით, აღიაროს საქართველოს რეგიონები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“, – განაცხადა ბუშმა. ამერიკის პრეზიდენტმა დაუმატა: „მე მოვუწოდებ რუსეთის ხელმძღვანელობას, დაიცვას თავისი ვალდებულებანი და არ აღიაროს ეს სეპარატისტული რეგიონები“.

ამას გარდა, როგორც თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტონი ფრატომ განაცხადა, „ორივე რეგიონის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში – ეს არ არის პირველი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს რომელიმე ერთმა სახელმწიფომ“.

მისი სიტყვებით, „ეს საკითხი საერთაშორისო გაერთიანების გადასაწყვეტია, უპირველეს ყოვლისა კი – გაეროსი“. ამავე დროს ფრატომ აღნიშნა, რომ ორივე რეგიონის გამო „მიღებული იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომლებსაც, სხვათა შორის, რუსეთმაც დაუჭირა მხარი.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი უნდა გადაწყვიტონ „ამ ორი რეგიონის მცხოვრებლებმა, საქართველომ და გაერომ, – ისე, როგორც წარსულში მიმდინარეობდა ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკება“, – თქვა ფრატომ.

თეთრმა სახლმა აგრეთვე გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი სექტემბერში ჩავა საქართველოში, სადაც შეხვდება საქართველოს ლიდერს მიხეილ სააკაშვილს. ანალიტიკოსების აზრით, ეს ვიზიტი შეიძლება შევაფასოთ, როგორც საქართველოს მხარდაჭერის კიდევ ერთი ნიშანი ვაშინგტონის მხრიდან. ჩეინი გეგმავს აგრეთვე აზერბაიჯანსა და უკრაინაში ჩასვლასაც.

დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და იტალიამაც პირველებმა გამოხატეს შეშფოთება რუსეთის პარლამენტის გადაწყვეტილების გამო.

„იმედი მაქვს, რუსეთის პრეზიდენტი არ მოაწერს ხელს ამ რეზოლუციას“, – განაცხადა, კერძოდ, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბრიფინგზე სტოკჰოლმში.

ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა გააჭიანურებს პასუხს პარლამენტარების მიმართვაზე, რათა უფრო ღრმად მოახდინოს ზონდირება დასავლეთის რეაქციაზე კავკასიაში კრიზისთან დაკავშირებით.

ორშაბათს რუსეთის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი განცხადებები, რომლებიც შეეხება საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

მაგალითად, პირველმა ვიცე-პრემიერმა იგორ შუვალოვმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ „რუსეთს განზრახული აქვს აცნობოს მთელ რიგ თავის პარტნიორებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ, რაც მის ინტერესებს არ შეესაბამება“.

ზოგიერთი დასავლელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო ბერკეტი რუსეთზე ზემოქმედებისათვის: კერძოდ, უარყონ მისი განცხადება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაზე და დააჩქარონ საქართველოს და უკრაინის შესვლა ნატოში.

უფრო ადრე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნებმა გამოაცხადეს, რომ გაყინავენ რუსეთთან მთელ რიგ ერთობლივ პროექტებს მანამ, სანამ იგი არ გამოიყვანს თავის ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან.

ორშაბათს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კონტაქტების შეჩერება მოსკოვსა და ნატოს შორის ყველა დონეზე იქნებოდა შეცდომა. მისი სიტყვებით, დასავლეთმა უნდა გაითვალისწინოს „რუსეთის საქართველოში საბრძოლო მოქმედებათა შედეგები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ შეცდომა იქნებოდა შეგვეწყვიტა ყველა კონტაქტი რუსეთსა და ნატოს შორის, რაც ასე აუცილებელია“.

BBC RUSSIAN.com

---

# შემდგომი ზომები საქართველოს მოვლენებთან დაკავშირებით

**პორაჟენული გამონათქვამების ტალღას საქართველოს რუსული ოკუპაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით საფუძვლად უდევს აზრი იმის შესახებ, რომ დასავლეთს ცოტა რამ თუ შეუძლია გააკეთოს ამ კრიზისთან დაკავშირებით:** ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას სჭირდება მოსკოვის თანადგომა უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისათვის, ისეთებისა, როგორიცაა თუნდაც ირანის შეკავება; მეორეც, იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას არ გააჩნიათ ვლადიმერ პუტინის რეჟიმზე ზემოქმედების რეალური ბერკეტები. რამდენიმე დღის წინათ ჩვენ ვწერდით, რომ „სტრატეგიული პარტნიორობა“, რის შექმნასაც ცდილობს პუტინთან ერთად პრეზიდენტი ბუში, ეს, სულ ცოტა, ილუზიაა. დღეს, როდესაც რუსეთის ჯარები კვლავ თხრიან სანგრებს ქალაქ ფოთის გარშემო, რითაც უხეშად არღვევენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების პირობებს, საჭიროა სასწრაფოდ გადაისინჯოს მეორე პოსტულატი დასავლეთის უძლურობის შესახებ. საბედნიეროდ, ესეც უსაფუძვლოა. სინამდვილეში, ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს, რათა გავზარდოთ ოკუპაციის ფასი და შევასუსტოთ პუტინისა და მისი ბოროტი გარემოცვის პოზიცია.

მიზეზი, რის გამოც რუსეთის ჯარები ძველებურად ბორკავენ უდიდეს ქართულ პორტს, ნაღმავენ სარკინიგზო ხაზს საქართველოში და აჩერებენ ტრანსპორტს ქვეყნის მთავარ გზებზე, ის არის, რომ რუსეთმა ჯერჯერობით ვერ მიაღწია თავის უმთავრეს მიზნებს – საქართველოს პრეზიდენტის ჩამოგდებას და ამ ქვეყანაში მყიფე დემოკრატიის განადგურებას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ჯერ არ გააჩნიათ შესაძლებლობა მოვლენათა ასეთი განვითარების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ამისათვის მათ უნდა იმოქმედონ უფრო სწრაფად და ენერგიულად, მიაყენონ საერთო ჯამში დამარცხება პუტინს. ბუშის ბრძანება საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების შესახებ ამერიკული გემებითა და თვითმფრინავებით კარგი ნაბიჯი გამოდგა ამ მიმართულებით. მაგრამ ამჯერად საჭიროა განხორციელდეს კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი და შესამჩნევი ოპერაცია მომარაგებისა და ეკონომიკის აღდგენისათვის, რათა რუსულმა ოკუპაციამ არ გამოიწვიოს ქართული ეკონომიკის კრახი. საერთაშორისო მეთვალყურეები, რომელთა ყოფნასაც დათანხმდა მოსკოვი, უნდა ჩავიდნენ საქართველოში რაც შეიძლება ჩქარა, რათა შეაკავონ რუსეთის ჯარები პროვოკაციებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ საბრძოლო მოქმედებათა განახლება.

რუსეთის ეკონომიკას, რომელიც დამოკიდებულია დასავლეთის ინვესტიციებზე და ტექნოლოგიებზე, უკვე მიადგა სერიოზული ზარალი ამ შეჭრით. მიმდინარე თვეში სავალუტო რეზერვების მარაგი მკვეთრად შემცირდა, ვინაიდან ინვესტორებმა დაიწყეს თავიანთი ფულის რუსეთიდან გატანა ისეთი ტემპებით, როგორიც ქვეყანას არ უნახავს 1998 წლის რუბლის კრიზისის დროიდან. საბჭოთა კავშირის დროის ღრმა ნოსტალგიის განცდით პუტინმა შეიძლება არცკი იცოდეს რუსეთის სისუსტე ისეთი ზემოქმედების შედეგად, რაც ამერიკულ ხაზინას შეუძლია მიაყენოს რუსეთის კაპიტალის ბაზას 21-ე საუკუნეში. მაგრამ პუტინის გამცემ გარემოცვას, ოლიგარქებისაგან რომ შედგება და რომლებმაც მილიარდები დააბანდეს დასავლეთის ბანკებში, ყიდულობენ მიწებსა და ფეხბურთის გუნდებს, შეიძლება სწრაფად და სავსებით კანონიერი მეთოდებით გადავუგრიხოთ ხელები. მართლაც, რატომ არ შეიძლება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საერთაშორისო სააგენტოებმა მოახდინონ რეაგირება სავსებით სერიოზული სახით მრავალმხრივ მტკიცებებზე რუსული კომპანიების ბოროტ საქმეებსა და კორუფციებზე? თუ კრემლთან დაკავშირებული კომპანიები დაარღვევენ საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს თავიანთი მოქმედებებით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებულ პროვინციებში, შეიძლება განვახორციელოთ მათი აქტივების დაბლოკვა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ავტოგასამართ სადგურებზე.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ამერიკის ადმინისტრაცია გეგმავს, უარი თქვას რუსეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ბირთვულ დარგში, რომელიც განსახილველად გადაცემულია კონგრესისათვის. ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რაც აუცილებლად სჭირდება მოსკოვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებისათვის, აგრეთვე შეიარაღების კონტროლზე მოლაპარაკებათა შეწყვეტის შესახებ. თუ პუტინი ამ დღეებში არ შეასრულებს ხელშეკრულების მოთხოვნებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ასეთი სანქციები შეიძლება კარგადაც გამოგვადგეს. ამ დროს ადმინისტრაციამ უნდა იმუშაოს აქტიურად და ენერგიულად იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა და ქვეყნის ეკონომიკა კრიზისის შემდეგ უფრო მეტად განმტკიცდეს. მაშინ რუსეთი გაიგებს, რომ მეზობელი ქვეყნის გახანგრძლივებულმა ოკუპაციამ კიდევ უფრო შეიძლება დაასუსტოს იგი.



**სარედაქციო სტატია**

The Washington Post

---

# ცრუ კოზირი

**რუსეთი ემზადება კავკასიაში ფინალური ბრძოლისათვის: ამჟამად, მას შემდეგ, რაც რუსეთის პარლამენტის ზედა და ქვედა პალატებმა მიმართეს რეკომენდაციით დიმიტრი მედვედევს, აღიაროს თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რუსეთის პრეზიდენტს ხელში აღმოაჩნდა დასავლეთთან მოლაპარაკების ახალი კოზირი.** რუსეთის საზოგადოებრიობის ზემოქმედება, რომლის საბოლოო მიზანია დამოუკიდებლობის აღიარება, დიდია. მედვედევს იოლად შეუძლია აიმაღლოს თავისი პოპულარობა დღევანდელ „ურა-პატრიოტიზმის“ ტალღაზე, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა. მაგრამ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ როდის და როგორ გაითამაშებს იგი დამოუკიდებლობის ამ კარტს. მედვედევისათვის ხელსაყრელი იქნებოდა თავი შეეკავებინა ამისაგან. თუ იგი ცალმხრივად გადაწყვეტს ამ საკითხს, ეს კიდევ უფრო ნეგატიურად აისახებოდა რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობაზე. ის ხმები ევროკავშირში, რომლებიც დღემდე მოითხოვენ რუსეთთან ურთიერთობას, თანდათანობით მიჩუმდება, და ქვეყანა კი აუცილებლად გადაიქცევა „იზგოიდ“.

მოსკოვს არ შეუძლია იყოს დარწმუნებული, რომ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება მოიპოვებს სერიოზულ მხარდაჭერას. სოლიდარობის შესახებ გამოაცხადა მხოლოდ ბელორუსიამ. შეიძლება, მოსკოვის მხარეს დადგნენ კიდევ ვენესუელა და კუბა. მაგრამ თუ საქმე მივა დასავლეთის დიპლომატიურ ძალებთან შეხამამდე, მოსკოვი უსათუოდ წააგებს. სახელმწიფოსათვის, რომელსაც ურჩევნია თავი წარმოაჩინოს ახალ სახელმწიფოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპით, ეს იქნებოდა სამარცხვინო. ამ დროს მთავარია, რომ მოლაპარაკება კავკასიაში სიტუაციის შესახებ არ შეწყდეს.

პოლიტიკოსებმა ევროკავშირიდან და ამერიკის შეერთებულ შტატებიდან უნდა გაითვალისწინონ, რომ ორივე რეგიონის რეინტეგრაციის შანსები საქართველოს შემადგენლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. უფსკრული გაიზარდა ჯერ კიდევ ომამდე. აფხაზეთში რესპუბლიკის საქართველოდან ფაქტობრივი გამოყოფის მომენტიდან, რაც 1990-იან წლებში მოხდა, ჩამოყალიბდა სახელმწიფო სისტემა, რომელსაც, მიუხედავად თავისი ძლიერი დამოკიდებულებისა რუსეთისაგან, არ გააჩნია უფრო მეტი საფუძველი დამოუკიდებლობისათვის. ამ ფაქტებს დასავლეთმა არ შეიძლება არ მიაქციოს ყურადღება. საქართველოს ცენტრალურ ნაწილში რუსეთის ჯარების ყოფნის ფონზე ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, მაგრამ თუ გავიხედავთ მომავალისკენ სადავო რესპუბლიკებისა, ასეთი სიჯიუტე არაფერ სიკეთეს აფხაზებს არ მოუტანს.

საერთოდ მოსკოვი არ არის დაინტერესებული ესკალაციით. თუ მედვედევი ლაპარაკობდა დასავლეთთან ახალი სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ სერიოზულად, ამჯერად მას ექნება შანსი დაადასტუროს თავისი წინადადების სერიოზულობა. მას ეძლევა ამჟამად შესაძლებლობა გამოხატოს თავისი საკუთარი „მე“ პოლიტიკაში: როგორც პრეზიდენტმა, რომელიც უძლებს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ზემოქმედებას, არ მიდის პროვოკაციაზე საკუთარ ქვეყანაში.

მედვედევმა უნდა გაითავისოს აგრეთვე ისიც, რომ დასავლეთთან მზარდი კონფრონტაცია, მიუხედავად ნავთობისა და ენერგეტიკული რესურსების მილიარდებისა, რუსეთს ძვირად დაუჯდება. გარეგნულად ქვეყანას შეუძლია, რასაკვირველია, გამოიყურებოდეს ძლიერად ამ ომში ტაქტიკური გამარჯვების შემდეგ. მაგრამ მთავარი პრობლემები რჩება: მოძველებული ინფრასტრუქტურა, ინფლაცია, კორუფცია, სამართლებრივი უშიშროების უქონლობა, აგრეთვე ეკონომიკური დამოკიდებულება ნედლეულის ექსპორტზე. პოლიტიკური დაძაბულობა ქმნის იმის საფრთხეს, რომ გაუარესდება საინვესტიციო კლიმატი. გარკვეულწილად, რამდენიმე ხნის განმავლობაში, რუსეთს შეუძლია დარჩეს „ციხე-სიმაგრის“ სტატუსში. მაგრამ თუ მედვედევსა და პუტინს სურთ მოამზადონ თავიანთი ქვეყანა გლობალური შეჯიბრებისათვის, ამის მიღწევა არ მოხერხდება საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე.

**ტომას ვიდე**

Handelsblatt

ეპოქა




სერგეი კრემლიოვი

# ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

## ჯალათი თუ ბინძური პოლიტიკური შეთქმულების მსხვერპლი?!


ლ. ბერია თავის შვილთან – სერგოსთან ერთად.

მას ჰქონდა კონკრეტული წინადადებანი: აძ სახელმწიფო მართვის სფეროში; ბძ ეკონომიკაში; გძ თავდაცვის სფეროში; დძ საშინაო ზოგადსახელმწიფოებრივ და ეროვნულ პოლიტიკაში; ეძ საგარეო პოლიტიკაში.

სახელმწიფო მართვის სფეროში ის ილებდა მკაფიო კურსს მართვის ცენტრის ეკონომიკურ და სამეურნეო საქმიანობაზე, მათ შორის მასშტაბური თავდაცვითი პროექტების განხორციელების გადატანით ცენტრალური კომიტეტიდან მინისტრთა საბჭოში. არსებითად, ყველა პერსპექტიული თავდაცვითი სამუშაო ისედაც მიმდინარეობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სპეცკომიტეტში, მაგრამ დანარჩენები...

სხვადასხვა შეხედულებები ხელისუფლების პრიორიტეტებზე გამოვლინდა სტალინის დაკრძალვის დროს. მაშინ მავზოლეუმის ტრიბუნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: მალენკოვი, ბერია და მოლოტოვი. ყველა სიტყვა იყო ერთობ უფერული, ოფიციოზური – განსაკუთრებული ნათელი ადგილები მათში არ ყოფილა.

მაგრამ მალენკოვი წარამარა იმეორებდა ფორმულას – „კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა“. მოლოტოვიც ხაზგასმით იყენებდა ფორმულას „საბჭოთა სახელმწიფო“, პარტია პრაქტიკულად არც უხსენებია. ბერია კი უფრო დაბეჯითებით ლაპარაკობდა „საბჭოთა მთავრობის“ შესახებ, თუმცა პარტიასაც „უტოვებდა“ უფლებას, ყოფილიყო „საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალა“.

წამყვანი, მაგრამ არა ხელმძღვანელი და წარმმართველი. თანაც, ბერიას აქცენტი საბჭოთა მთავრობაზე იყო საკმაოდ მჭევრმეტყველური. სხვათა შორის, ეს იყო სწორედ ის, რისკენაც მიდიოდა სტალინი. მან ხომ ჯერ კიდევ ჟდანოვის სიცოცხლეში მის შენიშვნაზე, რომ დიდი ხანია, პარტიის ყრილობა არ გამართულაო, დაახლოებით ასე უპასუხა: „რის პარტია... პარტია მეალილუეების კრებად გადაიქცა“. და მაშინ სტალინმა აღიარა: ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ანტისაბჭოთა ელემენტები უფრო ცოტა იყო, ვიდრე „ჩვენ გვახსენებდნენ“... მაშინ სტალინმა განაცხადა: „უნდა მოვინანიოთ“ – პარტიის წინაშე, ბუნებრივია.

პასუხი ამაზე იყო დუმილი, მას მხარი დაუჭირეს მხოლოდ ჟდანოვმა და ვოზნესენსკიმ (ამ უკანასკნელისათვის ეს იოლი იყო, მას რეპრესიები არ მოუწყვიაძ. ისე, თუ სტალინს მხარს დაუჭერდა ბერია, გვიანდელ მოგონებებში მაინც არ მოხვდებოდა.

## როცა ქართველობა ერთადერთ მთავარ დანაშაულად იქცა...

### და მადლი როგორ გახდა მატლი

ბერია ამჯობინებდა გადახრებისა და შეცდომების გამოსწორებას საქმით. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის პოლიტიკური რეფორმა იოლი ამოცანა როდი იყო. აი, ეკონომიკის სფეროში კი ბერიას ახალი ინიციატივები გამოჩნდა და სავსებით გასაგებადაც. ის ყოველთვის მასშტაბურად აზროვნებდა, მისი სამმართველო გადაწყვეტილებები „მილიონობით“, ათეულ, ასეულ მილიონობით მანეთი „ღირდა“. მეორე მხრივ, ის ყოველთვის მოითხოვდა, რომ არ დახარჯულიყო იმაზე მეტი, რაც საჭირო იყო. და ეს განსაკუთრებით გამოვლინდა თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის უკვე ექვსი დღის შემდეგ.

მან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანა რამდენიმე, ქვეყნისა და ხალხისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი წინადადება, კერძოდ, 20 დიდი ობიექტის მშენებლობის შეწყვეტის (მათ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა სულაც არ გააჩნდათძ, გულაგის შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროსათვის გადაცემის, საპასპორტო შეზღუდვებისა და სარეჟიმო ადგილების გაუქმებისა და სხვათა შესახებ.

მიქოიანმა ივლისის პლენუმზე ბრალი დასდო ბერიას ყველა ცოდვაში, დაწყებული ორპირობით მუსავატისტურ ბაქოში (თუმცა მიქოიანმა იცოდა, ეს რომ ასე არ იყოძ. მაგრამ მიქოიანმა უნებლიეთ გაამჟღავნა საინტერესო ამბავი (მომყავს ადგილი მისი სიტყვიდან გაუსწორებელი სტენოგრამის მიხედვითძ:

„როდესაც ის (ბერია – ს.კ.ძ გამოდიოდა წითელ მოედანზე ამხანაგ სტალინის კუბოსთან, მისი სიტყვის შემდეგ მე ვუთხარი: შენს სიტყვაში არის ადგილი, რომ გარანტირებული უნდა იყოს თითოეული მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. ეს უბრალო ორატორის სიტყვაში უბრალო ფრაზა როდია, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვაში – ეს მოქმედების პროგრამაა. შენ ის უნდა შეასრულო. მან მიპასუხა: მე შევასრულებ კიდეც მას...“

ბერიამ მართლაც გააკეთა ასეთი განცხადება სახელმწიფოს ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან. და სინამდვილეშიც დაიწყო დანაპირების შესრულება.

სტალინის გარდაცვალებიდან თავისი ასთორმეტი დღის განმავლობაში ბერია, როგორც ყოველთვის, მუშაობდა ისე ბევრს, რომ იმ დღეებზე საუბარი ძალიან დიდ დროს მოითხოვს. და არ ჩანს ხელსაყრელი საბაბი, ვისაუბროთ თითქოსდა „ბერიას სასიყვარულო თავგადასავლებზე“. ამიტომ ჯერჯერობით ამ თემას არ შევეხები. მხოლოდ შევნიშნავ: თუ ამ თემის ჩართვას ვერ ვახერხებ ჩემს თხრობაში, ბერიას ძნელად თუ ექნებოდა დრო „სასიყვარულო თავგადასავლებისთვის“, ასე სიამოვნებით რომ მიაწერდა მას ჯერ 1953 წლის ივლისის პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის მდივანი შატილინი, რათა შემდეგ, ვისაც არ ეზარებოდა, ცილი დაეწამებინა მისთვის, დაებრალებინა ათეულობით საყვარლის ყოლა, რომელთაგანაც ბევრი „ეტაპებზეც“ გაუშვა დაუმორჩილებლობის გამო.

არ შემიძლია, არ შევჩერდე ბერიას პოზიციაზე „იუგოსლავიის“, „კორეის“, „უნგრეთის“ და სხვა საკითხებზე. უბრალოდ ვიტყვი, რომ ყველა ამ საკითხში, არსებითად, ბერია მართალი იყო. რაც შეეხება „იუგოსლავიის“ საკითხს, ისტორიის ირონია გამოიხატა იმაშიც, რომ 1957 წელს ხრუშჩოვმა ბრალი დასდო მოლოტოვს თავად იმ ტიტოსთან ურთიერთობის ბლოკირებაში, რომელთანაც ურთიერთობის მოწესრიგების მცდელობას 1953 წელს ხრუშჩოვი და მოლოტოვი აფასებდნენ, როგორც ბერიას დანაშაულს.

შემოვიფარგლები ერთი „უნგრული“ ციტატით წერილიდან, რომელსაც სწერდა ბერია მალენკოვს ბუნკერიდან.

„წინადადება იმრე ნადის შესახებ უნდა დამეყენებინა არა მე ან ვინმე სხვას, არამედ შენ უნდა გაგეკეთებინა ეს, მე კი გამოვვარდი იდიოტურად, ამას გარდა, სწორ შენიშვნებთან ერთად მე დავუშვი თვითნებობა და მოურიდებლობა, რისთვისაც, რასაკვირველია, მაგრად უნდა შემახურონ“.

ბერიას მხედველობაში ჰქონდა სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციების შეხვედრა, რომელიც 1953 წლის 12 ივნისს გაიმართა მოსკოვში. ამ ციტატის ცოცხალი ტონი თავად მეტყველებს თავის თავზე. თანაც ეს დაწერა კაცმა, რომელიც ხელისუფლების მწვერვალიდან ბეტონის სარდაფში ჩააგდეს. ასეთ მდგომარეობაში ის ფიქრობდა საქმეზე, სახელმწიფოზე და არა საკუთარ ტყავზე.

განა ეს არ მეტყველებს ჩვენი გმირის მეტად მაღალ სულიერ და ადამიანურ თვისებებზე? ამაზე მეტყველებს ისიც, რომ 15 ივნისს ბერიამ მიმართა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს წერილით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული თათბირის უფლებების მკვეთრი შეზღუდვის შესახებ. ლავრენტი ბერია რომ ყოფილიყო ისეთი სადისტი, მანიაკი, როგორც მას ხატავენ მოძულეები, მაშინ სასამართლოს გარეშე ადამიანების ბედისა და სიცოცხლის მართვის უფლება მისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი და სასიამოვნო იქნებოდა.

ბერიას, როგორც ყოველთვის, ერთდროულად ბევრი საქმე ეკისრა, მაგრამ მოხდა რაღაცა, რამაც აიძულა იგი, სასწრაფოდ გამგზავრებულიყო შორს – 16 ივნისს აღმოსავლეთ ბერლინში დაიწყო მშენებელ მუშათა მასობრივი გაფიცვა. იგი სწრაფად გადაიზარდა მძლავრ დემონსტრაციაში, მეორე დღეს კი გაფიცვები და დემონსტრაციები დაიწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კიდევ 14 ქალაქში... ბობოქრობდნენ როსტოკი, ლაიფციგი, მაგდებურგი. ბერლინში ხელში ჩაიგდეს მთავრობის სახლი. 16-20 ივნისის დღეებში გაფიცვებში მონაწილეობდა 430 ათასი კაცი, დემონსტრაციებში – 330 ათასზე მეტი.

ასეთი მოვლენები ცარიელ ადგილზე და თავისით როდი ხდება. უეჭველია, მღელვარებანი დაიწყო დასავლეთის პირდაპირი ბრძანებით, მაგრამ მათი პირველი მიზეზი იმალებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სსრ კავშირის ხელმძღვანელობის უგუნურ ქცევაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ იქ მოუფიქრებლად აიღეს კურსი სოციალიზმის აშენებაზე, ხოლო 1952 წლის 8 ივლისს მოსკოვმა და ბერლინმა (აღმოსავლეთ ბერლინმაძ მისი ფორსირებაც კი გადაწყვიტეს.

ძალდატანებითი კოოპერირება სოფლის მეურნეობაში, მშიერი სარესურსო რეჟიმი საშუალო და მცირე კერძო კაპიტალისათვის (დიდი ნაციონალიზებული იყოძ, არარაციონალური საგადასახადო პოლიტიკა, კერძო მეწარმეთა და თავისუფალი პროფესიის პირებისათვის სასურსათო ბარათების ჩამორთმევა, მეტისმეტი რეპრესიული პოლიტიკა – აი, რა ასაზრდოებდა გერმანელთა დიდ უკმაყოფილებას. 1951 წლის იანვრიდან 1953 წლის აპრილამდე დასავლეთ გერმანიაში გაიქცა 447 ათასი კაცი, მათ შორის მარტო 1953 წლის ოთხ თვეში – 120 ათასზე მეტი (მონაცემები აღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 2 ივნისის № 7576-ის განკარგულების დანართიდან, ასე რომ შეიძლება ენდოძ.

ფაქტი ჯიუტია, საბჭოთა ხელმძღვანელები, მართალია, ხშირად ჯიუტები იყვნენ, მაგრამ არა ფაქტებზე მეტად. რაც არ უნდა იყოს, მაშინ ყველა მათგანს გავლილი ჰქონდა სტალინის სკოლა. ამიტომ ცხადი იყო – პოლიტიკა უნდა შეცვლილიყო. „ანტიბერიულ“ ივლისის პლენუმზე მალენკოვი აღიარებდა:

„ჩვენ ვალდებული ვიყავით საღად შეგვეხედა თვალებში ჭეშმარიტებისათვის და გვეღიარებინა, რომ საბჭოთა ჯარების გარეშე არსებული რეჟიმი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყარი არ იყო. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ამჟამად მეტად არასახარბიელოა“.

და ამიტომ ივნისის მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე კრემლში გაიმართა სერიოზული დისკუსია. ბევრი მიიჩნევდა, დროებით უარი ეთქვათ სოციალიზმის მშენებლობაზე. მოლოტოვი ეთანხმებოდა მხოლოდ უარის თქმას ფორსირების ტემპებზე.

ბერიას პოზიცია, როგორც ყოველთვის, იყო აწონილ-დაწონილი – მისმა სამდივნომ განა ტყუილად მიიღო მისგან განკარგულება, მოეძებნათ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკის მცოდნე. ამიტომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 2 ივნისის „გერმანიის“ დოკუმენტი იყო შინაარსიანი და კონკრეტული – სავსებით ბერიას სტილში. ეს სტილი კი ნიშნავდა იმას, რომ რთული სპეციფიკური პრობლემების დამუშავების დროს ბერია განსაზღვრავდა ზოგად მიმართულებებს, ხოლო ზომებისა და რეკომენდაციების დამუშავებას ექსპერტებს უტოვებდა. შესაბამისად, სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოცემული იყო მინისტრთა საბჭოს განკარგულების დანართში, ავლენდა გერმანიის სინამდვილის კარგ ცოდნას (მაგალითად, იქ მოცემულია რეკომენდაციაც კი ქცევის ხაზთან დაკავშირებით ახალგაზრდული რელიგიური ორგანიზაციის „იუნგე გერმანდეს“ რიგით მონაწილეებთან ურთიერთობაში და ა.შ.ძ.

(გაგრძელება იქნება)

---

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 155-159.

◎ ერთი მსოფლიო, ერთი ოცნება!

# არის ასეთი ცხრილიც

**პეკინის ოლიმპიადის დასრულებისთანავე გამოქვეყნდა არაოფიციალური გუნდური ჩათვლა, სადაც ყველას ჩინეთის დელეგაციამ გაუსწრო. მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას, რომ აღნიშნულ ნუსხაში ადგილები ოქროს მედლების რაოდენობის მიხედვით განაწილდა.**

**თუმცა, ყველას როდი მიაჩნია სამართლიანად მონაგრის ასეთი ათვლა – ოპონენტები ქვეყნებურად საერთო ნადავლს ანიჭებენ უპირატესობას. მოდით, დავაკმაყოფილოთ მათი ინტერესიც და „იმნაირ“ ნუსხას გადავხედოთ.**

აშშ – 110, ჩინეთი – 100, რუსეთი – 72, დიდი ბრიტანეთი – 47, ავსტრალია – 46, გერმანია – 41, საფრანგეთი – 40, სამხრეთ კორეა – 31, იტალია – 28, უკრაინა – 27, იაპონია – 25, კუბა – 24, ბელარუსი – 19, ესპანეთი, კანადა – 18-18, ჰოლანდია – 16, ბრაზილია – 15, კენია – 14, ყაზახეთი – 13, იამაიკა – 11, პოლონეთი, უნგრეთი, ნორვეგია – 10-10, ახალი ზელანდია – 9, რუმინეთი, თურქეთი – 8-8, ეთიოპია, დანია, აზერბაიჯანი – 7-7, ჩეხეთი, სლოვაკეთი, საქართველო, ჩრდილოეთ კორეა, არგენტინა, შვეიცარია, უზბეკეთი, სომხეთი – 6-6, სლოვენია, ბულგარეთი, ინდონეზია, შვედეთი, ხორვატეთი, ლიტვა – 5-5, მონღოლეთი, ტაილანდი, ზიმბაბვე, ფინეთი, საბერძნეთი, ნიგერია, ტაივანი – 4-4, მექსიკა, ლატვია, ინდოეთი, ავსტრია, ირლანდია, სერბეთი – 3-3, ბელგია, დომინიკა, ესტონეთი, პორტუგალია, ირანი, ტრინიდადი, ალჟირი, ბაჰამა, კოლუმბია, ყირგიზეთი, მაროკო, ტაჯიკეთი 2-2. თითო მედალი მოიპოვეს 21 ქვეყნის ოლიმპიელებმა.

◎ ფეხბურთი

# სეზონი მალე დაიწყება



**მართალია, ამ გაგანია რუსული აგრესიის დღეებში არავის ეფეხბურთება, მაგრამ ადრე თუ გვიან ქვეყანაში მშვიდობა დაისადგურებს და გულშემატკივარი სტადიონებს მიაშურებს.**

მაინც, როდის დაიწყება ახალი სეზონი – გვეკითხებიან მკითხველები.

როგორც პროფესიული ფეხბურთის ლიგიდან გვაცნობეს, დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის თასის“ გათამაშების მორიგი ეტაპის მატჩები 30 აგვისტოს გაიმართება. გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის „ვიტ ჯორჯია“, რომელიც უეფას თასის გათამაშების შეხვედრას ვენაში „აუსტრიასთან“ 28 აგვისტოს მოაწყობს და ამიტომ სათასო თამაშს 31 აგვისტოს გამართავს.

რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, მისი სტარტი 13-14 სექტემბერსაა დანიშნული.

◎ ოლიმპიადის ექო

## დედობა ხელისშემშლელი როდია



**დიახ, ქალის უდიდესი დანიშნულება – დედობა და თამაშებში მონაწილეობა ერთმანეთს როდი გამორიცხავენ, – ასე ფიქრობს სპორტის ბევრი თაყვანისმცემელი იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, თითქოს ბავშვის გაჩენის შემდეგ ქალმა უნდა მიატოვოს სპორტული კარიერა.**

ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა პეკინის თამაშებმაც – გარბენების, გაცურვების თუ მატჩების შემდეგ სპორტსმენი ქალები მწვრთნელებისკენ კი არა, თავიანთი შვილებისკენ გარბოდნენ. დედები არიან. ამერიკელი მოცურავე დარა ტორესი, ფეხბურთელი კრისტი რამპონე, ბრიტანელი მორბენალი კეიტ მარკგრაფი, გერმანელი ტანმოვარჯიშე ოქსანა ჩუსოვიტინა, ჩინელი ძიუდოისტი სიან დუნშეი და ბევრი სხვა.

„დედობამ სულ სხვა ცვლილებები შეიტანა ჩემს ცხოვრებაში. თავი ბედნიერად ვიგრძენი და ეს გრძნობა არ მშორდება სირბილის დროსაც“, – განაცხადა მარათონში მსოფლიო რეკორდის დამამყარებელმა, 34 წლის ინგლისელმა პოლა რედკლიფმა.

41 წლის დარა ტორესმა, პეკინში ოლიმპიური „ვერცხლი“ რომ მოიპოვა, ჟურნალისტებს აცნობა, რომ მომდევნო კვირაში თავისი ქალიშვილის სასკოლო საქმეებს მიხედავს.

## ჩინელებმა მოგვატყუეს?!

**ყოველ შემთხვევაში, ასე წერს რუსული გაზეთი „ტრუდ-7“. პირველი ტყუილი გამომჟღავნდა ოლიმპიადის გახსნის მეორე დღესვე. გაირკვა რომ ცერემონიის ზოგიერთი მომენტი ადრევე ჩაწერეს.** მაგალითად, გრანდიოზული ფეიერვერკის შექმნისას გამოიყენეს სამგანზომილებიანი კომპიუტერი. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, ამით მათ თავი დაიზღვიეს ცუდი ამინდისგან. არადა ტელემაყურებლები ეკრანებზე ვერ ნახავდნენ აელვარებულ შოუს, ამიტომაც დატკბნენ მისი ციფრული იმიტაციით.

მეორე ტყუილი მაშინ გამჟღავნდა, როცა გაირკვა, 9 წლის ლინ მიაოკე, გახსნაზე „სამშობლოზე ოდას“ რომ ასრულებდა, თურმე სხვის ფონოგრამაზე მღეროდა, სინამდვილეში ლამაზი ხმის პატრონი იან პეიი ეკრანზე არ გამოაჩინეს მრუდე კბილების გამო. ამის „გამომგონებლები“ გვეუბნებიან, რომ ტელემაყურებლებმა მიიღეს „მშვენიერი ხმაც, ლამაზი გამოსახულებაც და დიდებული წარმოდგენაც“.

## ყველაზე სულელური ჩემპიონატი

**ის პეკინში ოლიმპიადის ბოლო დღეს გაიმართა. როდესაც სპორტსმენები მედლების ბოლო კომპლექტებისთვის იბრძოდნენ, ოლიმპიური სოფლის მახლობლად გაიმართა უჩვეულო ტურნირი, არა, ტურნირი კი არა, მსოფლიო ჩემპიონატი. სპორტის იარაღები კი ძალზე უჩვეულო იყო – ქვა, მაკრატელი და ქაღალდი. ის დაახლოებით იმას წააგავს, ეზოს ბავშვები წილს რომ იყრიან, ვინ ჩადგეს ფეხბურთის კარში.**




ჩემპიონატის ფორმატიც უჩვეულო იყო. მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ ოთხი ქვეყნის „სპორტსმენები“ – აშშ-ს, კანადის, ირლანდიისა და რატომღაც გუამისა, ოფიციალურად აშშ-ს შემადგენლობაში რომ შედის.

როცა პეკინური სმოგი (ჩვენებურად – ტვიფიძ გაიფანტა და ყველა მაკრატელი დაიმტვრა ქვებზე, ტურნირის ტრიუმფატორად და მსოფლიო ჩემპიონად მთელი ოთხი წლით ირლანდიელი მარკ კლილანდი გამოცხადდა. ვერცხლის მედალი თავგამოდებულ ბრძოლაში კანადელმა სებასტიან გატიკამ მოიპოვა, „ბრინჯაო“ კი ამერიკელ შონ სირსუს დარჩა.



◎ კალათბურთი

# ვიბრძოლეთ, მაგრამ...



**ნბა-ს სუპერვარსკვლავი ტონი პარკერი რომ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების უპირობო ლიდერია, ძველი ამბავია. იგი დღესაც „სამფეროვანთა“ პირველი ვიოლინოა, თუმცა რიგაში დაწყებული ოთხთა საერთაშორისო ტურნირის სტარტზე ქართველებმა დაამტკიცეს, რომ სათანადო ტაქტიკის შერჩევითა და ინდივიდუალური ოსტატობით ყველასთან შეიძლება გამკლავება.**

„ჯვაროსანთა“ წინააღმდეგ მან მხოლოდ 12 ქულა მოაგროვა, რამაც განაპირობა კიდეც ის, რომ დასკვნითი პერიოდის წინ ბრძოლის ბედი გადაუწყვეტელი იყო – მეტოქე მხოლოდ 6 ქულით გვისწრებდა. სწორედ ამის შემდეგ დაეუფლნენ უპირატესობას ფრანგები და დიდი ანგარიშითაც მოგვიგეს – 90:69, რაც ტურიაფის, კირკსეის და დიავარას დამსახურებაა.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მის წევრთაგან, ტრადიციისამებრ, ფაჩულია (23 ქულაძ და ელისი (12 ქულაძ გამოირჩეოდნენ, ცქიტიშვილმა, სანიკიძემ და ცინცაძემ კი, მიუკიბ-მოუკიბავად თუ ვიტყვით, შეხვედრა „ჩააფლავეს“.

ერთი-ორი სუსხიანი სიტყვა ქართველთა ახალ ხორვატ თავკაცს იგორ კოკოშკოვსაც უნდა შევაწიოთ, რომელიც, წინამორბედთა მსგავსად, ეროვნული ჩემპიონატის კლუბებიდან მიწვეულ მოთამაშეებს ნაკლებად ენდობა და სარბიელზე რამდენიმე წუთით თუ უშვებს (შერმადინი, ტულუში, გამყრელიძე, ბერიშვილიძ. საკითხავია, თუ არაა დარწმუნებული მათ შესაძლებლობებში, რატომ ეძახის?

◎ სევდიანი აგვისტო

# დოდიკ ხუნდაძის ხსოვნას



**„საქართველოს რესპუბლიკის“ ძვირფას მკითხველს შევახსენებ, რომ სამი თვის წინათ, 24 მაისის ნომერში ვეტერან ფეხბურთელს დავით (დოდიკძ ხუნდაძეს – ჩემი წერილით „ლამაზი ფეხბურთის შემოქმედი“ დაბადებიდან 75 წელი მივულოცეთ...**

**24 აგვისტოს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დოდიკ ხუნდაძემ ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა.**

**თავზარდამცემი იყო ჩემთვის ვეტერანი ფეხბურთელების ოთარ გიორგობიანის და აჩიკო ბითაძის სატელეფონო ზარები...**

**საქართველოში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმაც დააჩქარა დოდიკ ხუნდაძის გარდაცვალება.**

**აგვისტოს თვეში ბევრი სევდისა და ტრაგედიის მომსწრეა ჩვენი სამშობლო...**

**მიმძიმს დოდიკ ხუნდაძის წარსულში მოხსენიება.**

**შარშან, 1 დეკემბერს, მეგობრებთან ერთად ჩემი დაბადების 60 წლისთავზე ყველამ კარგად მოვილხინეთ, დოდიკამ ლექსიც მომიძღვნა. იგი პოეზიის დიდი მოყვარული გახლდათ.**

**ხვალ, 28 აგვისტოს, მარიამობას, ჩვენი ბედკრული და ტანჯული საქართველოს მიწა სამუდამოდ მიიბარებს დიდებული პიროვნების, გამოჩენილი ფეხბურთელის, შესანიშნავი მეგობრის და კაცური კაცის დოდიკ ხუნდაძის ცხედარს.**

**ის ჩემი უფროსი მეგობარი იყო.**

**ვაჟა ჭიაურელი**

## პერიოდიკა

# რატომ გაპროზაულდა სამყარო

## „ჩვენი მწერლობა.“ №15 და №16

**ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ბოლო ორი ნომერი (მე-15 და მე-16) მრავალ საინტერესო მასალას სთავაზობს ლიტერატურის მოყვარულთ და გემოვნებით შერჩეული სხვადასხვა ჟანრის ტექსტებით გულუხვად უმასპინძლდება. რედაქტორი როსტომ ჩხეიძე მე-15 ნომერში ეხმაურება ცნობილ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, თეიმურაზ დოიაშვილს, რომლის დეტექტივის ყაიდის ლიტერატურულმა ნაშრომმა „გალაკტიონი და ილია“ დიდი რეზონანსი გამოიწვია. ბატონი როსტომი წერილით „ილიას ლანდი“ ერთგვარად ავსებს გალაკტიონისა და ილიას სულიერი ნათესაობის დამადასტურებელ „საბუთებს“.**

გაბრიელ გარსია მარკესის ხელიდან გამოსული ნებისმიერი ჟანრის თხზულება დიდ ინტერესს იწვევს. ცნობილია მის მიერ შექმნილი თანამედროვეთა, მათ შორის, პოლიტიკოსთა პორტრეტები. ამჯერად მის ნარკვევში „შეუმდგარი საყვარელი“ ამერიკის ექსპრეზიდენტის, ბილ კლინტონის ფსიქოლოგიური პორტრეტი იხატება (ესპანურიდან თარგმნა ელეონორა კუჭავამ). ეს არის ერთგვარი გამოხმაურება ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის ყბადაღებულ რომანზე.

გრძელდება დისკუსია პოსტმოდერნიზმის შესახებ. ამჯერად გრიგოლ სენეკური გამოთქვამს თავის თვალსაზრისებს. წერილის მიხედვით, ჩანს, რომ ძალიან გაბრაზებული და აღშფოთებულია ავტორი, რადგან ფიქრობს, რომ პოსტმოდერნიზმი ხელოვნების დამანგრეველია.

თანამედროვე პროზა ელისო კალანდარიშვილის რომანით – „წინ, საზვერეებისაკენ“ არის წარმოდგენილი. პროზაში ეს უკვე აღიარებული ლიტერატურათმცოდნის და მთარგმნელის წარმატებული დებიუტია.

ყურადღებას იქცევს ვახუშტი კოტეტიშვილის ქართული სონეტები. ეს არის ნატიფად ჩამოქნილი სტრიქონები, რომელთა ძლიერი გულისცემა მკითხველსაც გადაედება. ყოველი სონეტი დამუხტულია სიცოცხლის ენერგიით, აი, თუნდაც ეს სტრიქონები:

**„აქ პირველითგან იყო**
**ლექსი. სიტყვა, ვით სეტყვა!**
**აქ ყველა სიტყვის მეუფეა,**
**თანაც ტყვე არი.**
**ყველა კაი ყმას წელზე**
**ლექსი ხმალივით ერტყა**
**და გულზე ლექსის დაღი**
**აჩნდა, ვით ნატყვიარი“.**

გუჩა კვარაცხელიას ფერადოვანი ლექსებიც არ დატოვებს მკითხველს გულგრილს. აქ ყოფითი ინტონაციები ჭარბობს, პოეტი არ ცდილობს, რომ მხატვრულ სახეებში შენიღბოს სათქმელი, პირიქით, ხაზგასმით ცდილობს სიტყვათა ჩვეულ მდინარებაში მოიხელთოს პოეტური აზრი.

ინგლისელთა ზნეობას განსჯის რალფ ემერსონი (ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა). მწერალი საუბრობს ინგლისელთა ნარცისულ ბუნებაზე. ინგლისელებს მეტისმეტად უყვართ საკუთარი თავი და ყველაფერი, რაც ეკუთვნით, ფიქრობენ, ჩვენ გარდა სხვა ხალხი არ არსებობს და არც სხვა ქვეყანა – ინგლისის გარდაო...

ნოდარ ანდღულაძესთან ინტერვიუ უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას. ცნობილი მომღერალი გულისტკივილით საუბრობს, რომ სამყაროში სიყვარულის სული დაიკარგა, გავპროზაულდით.

ნათელა არველაძე კვლავაც ჩვეული პროფესიონალიზმით მიმოიხილავს ახალ სპექტაკლებს. ამჯერად, მისი ყურადღების საგანი რუსთაველის თეატრია.

პოეტ გივი ალხაზიშვილთან არტ-კაფე „ქარავანში“ გამართულ შეხვედრაზე გვიამბობს ეკა ბუჯიაშვილი.

„არ ვიცი, ეგებ მთარგმნელისათვის სასიკეთოა თარგმანის თეორიის ცოდნა, მაგრამ მე ეს ინტერესი არ მქონიაო“, – გულწრფელად აღიარებს მანანა გიგინეიშვილი ელისო კალანდარიშვილთან საუბარში, არადა, სწორედ მისი ჩინებული თარგმანები სხვადასხვა ენიდან შეიძლება სხვებს ერთგვარ თეორიად გამოადგეთ.

1999 წელს საზოგადოება ხმაურით შეხვდა როსტომ ჩხეიძის წიგნს ზვიად გამსახურდიაზე: „თუ საწუთრომან დამამხოს“. ზოგი აღტაცებული იყო, ზოგი კი აღშფოთებას ვერ მალავდა. მაშინ გამართულ წიგნის განხილვაზე სიტყვით ლევან ბრეგაძეც გამოვიდა, ჟურნალი ბეჭდავს ამ ტექსტს და ამგვარად ადასტურებს მის აქტუალურობას.

ტერენტი გრანელის პოეზიაში გამართულ სიტყვისა და ფერის იდუმალ ფერხულზე საუბროს დოდო (მარიამ) ღლონტი თავის წერილში, რომელიც გამოხმაურებაა გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ რეზო ემელიანე ადამიას ნაშრომზე „ტერენტი გრანელი – სისხლიდან ცრემლი“.

ამავე ნომერში წაიკითხავთ იტალიელი მწერლის, სტეფანო ბენის ორ ნოველას (იტალიურიდან თარგმნეს ზაალ ჭკუასელმა და მაია მაძღარაშვილმა), ლია მეტრეველის ჩანაწერებს „მარტო“, გოჩა კუჭუხიძის „ხიდის ჩატეხა არ შეიძლება“, ბაბუა ალუდაურის საუბარს რამინ რამიშვილთან, ნიკა ჯორჯაძის „აი, როგორი ვილაცებიც ყოფილან ჩვენში“, ბორიას დარჩიას „მეცნიერი და მახვილმესიტყვე“.

ჟურნალის ახალი, მე-16 ნომერი წინამორბედს ტოლს არ უდებს მრავალფეროვნებაში. უპირველესად ყურადღებას იქცევს ზურაბ ავალიშვილის წერილი „სოციალისტური პროპაგანდის წარმატება საქართველოში“ (ტექსტი რუსულიდან თარგმნა და საგულისხმო მინაწერი დაურთო დავით აბაშიძემ).







გალიზიელებული საქართველოს სარანგს უწოდებს თენგიზ კუბლაშვილი ოთარ ჩხეიძეს და წერილში წარმოაჩენს თვის დამოკიდებულებას ჩვენი დროის კლასიკოსის მიმართ. ავტორი ეხმიანება საქართველოში მონარქიის აღდგენის თვალსაზრისს.

რა მოსდის მწერალს, როდესაც შთაგონება ულალატებს, უბრალოდ რომ ვთქვათ, როცა, მიუხედავად დიდი სურვილისა, აღარ ეწერება? ამ საინტერესო თემაზე საუბრობს სიმონ ლეისი წერილში „ბლოკირება“ (ფრანგულიდან ნინო ციმაკურიძემ თარგმნა).

პოეზია ამ ნომერში ძველი და ახლი თაობის ავტორებითაა წარმოდგენილი. შალვა საბაშვილის ლექსებით აღძრულ პირველ შთაბეჭდილებას გვიზიარებს მაკა ჯოხაძე.

სრულად განსხვავებულია ახალი თაობის შემოქმედის, მარიამ წიკლაურის სტილისტიკა.

„ყოველთვის სამი გატაცება მქონდა: მუსიკა, თეოლოგია და მეტაფიზიკა. ფილოსოფიამ იმედი გამიცრუა, მუსიკას თვითონვე ვუმტყუნე: არ ვისურვე, კიდევ ერთი კარგი პიანისტი გავმხდარიყავი“–მოკლედ, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ერიკ – ემანუელ შმიტმა მწერლობა გადაწყვიტა. არჩევანში არ შემცდარა. სწორედ ძიებათა ამ რთულ ლაბირინთებზეა მოთხრობილი მხატვრულ-ესეისტურ მასალაში – „როცა მწერლის მოძღვარი მისივე პერსონაჟია“.

მიწყნარებულ თუ მივიწყებულ დისკუსიას, ვფიქრობთ, კვლავ გამოაცოცხლებს როსტომ ჩხეიძის წერილი „ამაო შარავანდედი“.

გალაკტიონის ცხოვრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უცნობი დეტალი დიდ ყურადღებას იმსახურებს, ნოდარ ტაბიძე მკითხველებს სთავაზობს გალაკტიონისა და თავისი დროისთვის ცნობილი ქალბატონის ლიდია მეგრელიძის მეგობრობის ამსახველ საინტერესო დოკუმენტებს.

ჟურნალის მე-16 ნომერში შეიძლიათ, აგრეთვე, წაიკითხოთ: ლია კუხიანიძის „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“ დოდო ხიმშიაშვილის საყმაწვილო მოთხრობებზე, ზურაბ ცხონდიას „რაც უნდა დუმილით მეთქვა“, ეკა ბუჯიაშვილის „სულიდან გამოქცეული სიტყვები“, ინა ბეზირგანოვას „მე ბიბლიოთეკის ჰაერი მირჩევნია“, თამარ ნუცუბიძის „მისგან ბევრი რამ შევიძინე“, ნინო ჩხიკვიშვილის „ბავშვობის ექო“ გურამ ოდიშარიას რომანზე „პრეზიდენტის კატა“, ვასილ შუკშინის „უთითო“ (რუსულიან ანზორ აბჟანდაძემ თარგმნა).

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო უცვლელი მოზაიკის რუბრიკა, ანონიმი ავტორი რომ ამზადებს. ეს ესეისტური ჩანაწერები ამჯერადაც გამოირჩევა მსუბუქი ირონიითა და მახვილგონივრული დაკვირვებებით. დროა მისი ავტორი ჩრდილიდან გამოვიდეს.

**მაია ჯალიაშვილი**

## რატომ წავაგეთ ომი?

# მიტოვებული ჯარი

**დამოუკიდებელ ქართველ სამხედრო ექსპერტთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ცხინვალის ოპერაციის დაწყება როკის გვირაბის გადაკეტვის გარეშე შეცდომა იყო. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ქართულმა მხარემ კარგად უწყოდა, თუ რა რაოდენობის ტექნიკა იყო მობილიზებული გვირაბის რუსულ მხარეს. ჩვენს ხელისუფლებას ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ქვეყანაში შემოსული საოკუპაციო ჯარი აღარ გაჩერდებოდა. დაიწყებოდა წინსვლა ქვეყნის სიღრმისკენ.**

შეცდომად მიიჩნევენ ჩვენი ექსპერტები რუსეთის საარმიო ნაწილებთან საბრძოლველად რეზერვისტების გამოძახებას. 18-დღიანი საბრძოლო მომზადების კურსგავლილი ახალგაზრდა ნამდვილად ვერაფერ წინააღმდეგობას გაუწევს რეგულარულ არმიას. საერთაშორისო გამოცდილებაა – მსგავს შემთხვევებში ჯარში იძახებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადამოხდილებს, 35-50 წლის დაოჯახებულ შვილიან მამაკაცებს და არა 18-20 წლის პირტიტველა ბიჭებს. ასე ხდება იმ ქვეყნებში, რომელთა ხელისუფლება საკუთარი ერისა და ქვეყნის გენოფონდზე ზრუნავს, – ხაზს უსვამენ დამოუკიდებელი ექსპერტები.

ექს-სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას განცხადებით, ეს იყო ჩვენი მმართველი ელიტის გაუთვლელი ავანტიურა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ათასობით დაღუპული, დაჭრილი. განადგურდა სოფლები. რუსების შემოტევის შემდეგ ქართული ჯარის სარდლობამ მიატოვა სამხედრო მოსამსახურეები და გაიქცა. ამ დროს კი ხელისუფლება გვატყუებდა, რომ შემდეგი სამიზნეები ჯავა და როკის გვირაბიაო.

ხაინდრავა სვამს საინტერესო კითხვას – რატომაა, რომ ერაყში მიმდინარე სისხლისმღვრელ ომში 2 წლის განმავლობაში 3 ჩვენი ჯარისკაცი დაიღუპა. აქ კი 3 დღის განმავლობაში ასეულობით. ექს-სახელმწიფო მინისტრის აზრით, ეს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, ერაყში ქართველებს გამოცდილი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ, ჩვენთან კი უვიცები, – ასკვნის ხაინდრავა.

დამოუკიდებელ ექსპერტთა მოსაზრებით ძნელი წარმოსადგენია როგორ შეიძლება სამხედრო ოპერაციები წარმართონ მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა.



მათ ხომ ამის ელემენტარული გამოცდილებაც არა აქვთ. და იქვე დასძენენ, რომ შენაერთების კოორდინატორს, თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსს გოგავას საერთოდ არა აქვს სამხედრო განათლება, იგი პოლიციელია და სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა.

**ზაზა ბილიხოძე**

**შვილი ლიანა, რძლები ნათელა, ლიანა, ლალი, შვილიშვილები გურამი, მაია, გოჩა, ხვიჩა, სარა, სოფიო, ეკა, თეა ოჯახებით, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**აბრამ (აბრიკო) თეთრაშვილი.**

## ინფორმაცია

### ინციდენტი პოლიციასა და დევნილებს შორის

**ტყვიავიდან დევნილები, ძმები ვასიკო და ილია ჩიხლაძეები და გია ჩერტიაშვილი, რომლებიც პოლიციამ ათონელის ქუჩაზე გვიან ღამით დააკავა, უკვე გაათავისუფლეს.**

ამის შესახებ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის“ ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა.

საქმეზე დაწყებულია გამოძიება, თუმცა არ მაქვს ინფორმაცია, რა კვალიფიკაციით. არც ის ვიცი, ახალგაზრდებზე არის თუ არა სისხლის სამართლის საქმე აღძრული, – განმარტა ბესელიამ.

მისივე თქმით, ვასიკო და ილია ჩიხლაძეები მიხაილოვის საავადმყოფოდან გაწერეს და ამბულატორიულ მკურნალობას საჭიროებენ.

საავადმყოფოდან გაწერეს უბნის ინსპექტორიც, რომელიც ათონელის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დროს დაშავდა.

ათონელის ქუჩაზე მომხდარი ჩხუბის დროს დაშავებულები არიან როგორც პოლიციის, ისე დევნილების მხრიდან.

ინციდენტი გვიან ღამით მოხდა. პოლიციის ინფორმაციით, 4 ახალგაზრდა ჩხუბობდა და მათი გაშველება სცადეს, რა დროსაც დევნილები პოლიციას დაუპირისპირდნენ.

### სოფლებს ოსი მოთარეშეები შეესივნენ

**გორის მიმდებარე სოფლებში მოსახლეობა მძარცველებისგან თავის დასაცავად საცხოვრებელ სახლებს ტოვებს.**

გუშინ, სოფელ მეღვრეკისიდან გამოქცეული მაცხოვრებლები გორში ჩავიდნენ. როგორც ისინი ყვებიან, სოფელში დარჩენილ მოსახლეობას ოსი მაროდიორები აწიოკებენ, ძარცვავენ სახლებს, შეურაცხყოფას აყენებენ ადამიანებს და სახლის დატოვებას აიძულებენ.

მეღვრეკისის მაცხოვრებელთა განცხადებით, რამდენჯერმე იყო სიკვდილით დასჯის შემთხვევაც.

თანადგომა

# სკოლა 450 დევნილს მოეფერა

**საუკუნეების ქარტეხილმა გამოაწრთო ქართული გენი. გაჭირვებულ მოყვასს რომ თანადგომა სჭირდება, კიდევ ერთხელ მწარედ შეგვახსენა ჩვენმა მუხთალმა ბედ-იღბალმა.**

რუსული ოკუპაციის შედეგად შიდა ქართლიდან დევნილ თანამოძმეებს მთელი საქართველო დაუდგა გვერდით. მათ შორის პირველი იყო თბილისის მე-8 საჯარო სკოლა (დირექტორი ნინო ყუფარაძე). ტრადიციული და კეთილი საქმეებით ცნობილმა სკოლამ ფართოდ გაუღო კარი 450 დევნილს და მისცა მათ თავშესაფარი. სკოლის კართან ერთად კი – გულის კარიც, – ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მატერიალურ დახმარებასთან ერთად, სასოწარკვეთილ ხალხს სულიერი თანადგომაც სჭირდებოდა. ამიტომაც ქალბატონ ნინო ყუფარაძის თაოსნობით სასწრაფოდ შეიქმნა სკოლის პედაგოგთა და ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომელიც სულიერ დახმარებას უწევდა ლტოლვილ ბავშვებს.

ფსიქოლოგიურ კონსულტაციას მათ ქ-ნი ლალი პაპოშვილი უწევდა. საუბრებით განტვირთვის შემდეგ, საჭირო გახდა ხელოვნებითი თერაპია – რომელიც შიშისგან დათრგუნულ ბავშვებს მძიმე განსაცდელის განტვირთვაში ეხმარებოდა. არტთერაპიის შემდეგ კი, სიამოვნებით უსმენდნენ ქ-ტონ დარეჯან ჯოჯუას მიერ წაკითხულ მოთხრობებს ბიბლიური ისტორიიდან. ლტოლვილ ბავშვებს სპორტული თამაშებით, მძიმე დღეებს უხალისებდა ქ-ნი გულიკო ზაალიშვილი. ბავშვები თითოეული შეხვედრის შემდეგ აღფრთოვანებას და ადამიანურ სითბოს ვერ მალავდნენ.

ორი დღეა მათი დაბრუნების პროცესი დაიწყო. ისინი მშობლებთან რიგში დგანან მადლობის სათქმელად. მადლობას უხდიან დირექციას, პედაგოგიურ კოლექტივს და უბრალოდ სკოლის კედლებს, რომლებმაც თავშესაფარი მისცეს უმძიმეს დღეებში.

**ლეილა ნოდია**



**სურათზე: ლალი პაპოშვილი და დარეჯან ჯოჯუა დევნილ ბავშვებთან.**

ინფორმაცია

## 121 ქართველი ტყვე გათავისუფლებულია

**ბოლო ინფორმაციით, მოლაპარაკებათა პროცესის განმავლობაში ქართულმა მხარემ ცხინვალიდან სულ 121 ქართველი ტყვის გათავისუფლება მოახერხა. ამის შესახებ სახალხო დამცველის მოადგილემ სოფიო ხორგუანმა განაცხადა, რომელიც ამავდროულად ტყვეთა გათავისუფლების კომისიის წევრია. მისი თქმით, ამ დროისთვის ცხინვალის იზოლატორში კიდევ რჩება უამრავი ქართველი, რომელთა გათავისუფლების შესახებაც აქტიური მოლაპარაკებები გრძელდება.**

## მთვრალ რუსებს „ნიკორა" მოეწონათ

**ინციდენტი მოხდა ფოთში. რუსეთის საოკუპაციო ჯარების ბლოკ-საგუშაგოსთან მდებარე „ნიკორას" საწარმოში რუსი სამხედროები „ბე-ტე-ერ"-ით შევიდნენ.**

**მათ დაცვის თანამშრომლებს საწყობი იარაღის მუქარით გაალებინეს და „ნიკორას" მზა პროდუქტები წაიღეს. ოკუპანტები მთვრალები იყვნენ.**

**მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.**

## გორში კარვების ქალაქი მოეწყო

**გორში, კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე კარვების ქალაქის მოწყობა მიმდინარეობს.**

**როგორც შიდა ქართლში პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან იტყობინებიან კარვების ქალაქი 60 000 დევნილზე იქნება გათვლილი.**

**კარვების ქალაქის გაშლას პარლამენტარი კობა სუბელიანი ხელმძღვანელობს.**

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

ქველმოქმედება

# სიკეთე და თანადგომა ბოროტებას დასძლევს

**აგვისტოს მძიმე დღეებში, როდესაც რუსი აგრესორების გამოისობით საქართველოში კვლავ ათობით ათასი დევნილი გაჩნდა, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" ხელმძღვანელები და ოფისის თანამშრომლები, რომლებიც შვებულებაში იმყოფებოდნენ, სასწრაფოდ დაბრუნდნენ სამსახურში. მათ ოპერატიულად შეაგროვეს და შეიძინეს ლტოლვილთათვის საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები: მეორადი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, ლოგინი, სარეცხი საშუალებები, ხილიც კი...**

ეს ტვირთი ასოციაციის წარმომადგენლებმა ორ ნაწილად მიიტანეს მე-11 საჯარო სკოლასა და დიდი დიღმის ხელოვნების კოლეჯში განთავსებულ დევნილებთან.

ორივე ობიექტზე დევნილი 68 ოჯახის 300-მდე წევრი ცხოვრობს. მათ შორის 79 ბავშვია.

ასოციაციამ ჩვილი ბავშვიდან დაწყებული ყველასთვის იზრუნა. მართალია, საბნები, ბალიშები, პლედები, ვედროები, ტაშტები ყველას ვერ შეხვდა, მაგრამ არც ერთ ოჯახს არ დააკლდა ლოგინის თეთრეული, სარეცხი და ჰიგიენის საშუალებები, ქალის, მამაკაცის და ბავშვის ტანსაცმელი, ჩვილებისთვის საფენებიც კი. ერთი ოჯახისთვის ბავშვის საწოლიც გამოიძებნა.

ასოციაციის ხელმძღვანელებმა მაია კვეზერელმა-კოპაძემ და ნელი გურგენიძემ დევნილებს ტვირთი თავად გაუნაწილეს, როგორც ამბობენ, ხელიდან ხელში გადასცეს ნობათი.

მე-11 საჯარო სკოლასა და დიდი დიღმის ხელოვნების კოლეჯში განთავსებულმა დევნილებმა და ამ სკოლების ხელმძღვანელებმა ციცო ჯაფარიძემ და ეკა თაბუაშვილმა ულრმესი მადლიერება გამოხატეს ასოციაციისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისადმი, რომლებიც გულისხმიერებას და ყურადღებას არ აკლებენ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ თანამემამულეებს. ბერძნულმა ჰუმანიტარულმა ფონდმა „ჰიპოკრატემ" ასოციაციას დახმარება შესთავაზა: ექიმთა მობილური ბრიგადა გასინჯავს დევნილებს და წამლებსაც დაურიგებს. ორგანიზაციის რეკომენდაციით, ექიმები მე-16 ბაგა-ბაღში და ხელოვნების კოლეჯში განთავსებულ დევნილებს შეხვდნენ, ჩაუტარეს გამოკვლევები, გაუწიეს სამედიცინო კონსულტაცია და მედიკამენტებიც უხვად გაუნაწილეს.



ერთად დგომით, სიკეთის ქმნით იქნებ დავძლიოთ თავს დამტყდარი ეს ბოროტება...

**ზაზა სხირტლაძე**

**ძვირფასო მკითხველო!**

**ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.**

**იმეილი: sakresp@ayety.ge**
**ტელეფონი: 98-65-87**
**(89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.**

**რეკლამა** კონსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

კარიკატურისტის თვალით



უსიტყვოდ.

მხატვარი ამირან ერაძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

**გამომცემლები:**
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.